

94(438:479)

3-66

საქართველო

ქ

ქსელეტი
კომუნეთისა და
საქართველოს
უკონიაკთმობის
ისტორიისათვის



94(438:449) "14/16"

ნასე ცინცაძე 5-66


გ ე ს ე ჯ ე ბ ი
კონტინენტისა და
სამხრეთადას
კავშირების
ისტორიისათვის
/ XV-XVII სუკუნეები /

საბჭოთავი მთავრობის
საქართველო ვეპარტამენტი
ბიბლიოთეკა
№ 28449

გ ა მ მ ც ე მ ლ ო ბ ა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1965

9(C 41)
9(438)+9 (47.922)
ც 651

ნაშრომში მოცემულია ისტორიული დოკუმენტები და
ნარატიული წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობები პოლონე-
თისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის
XV—XVII სს.



შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს სახელმწიფოებრიობას არა ერთი ათეული საუკუნის ისტორია აქვს, იგი უშუალო დიპლომატიურ ურთიერთობაში ყოფილა არა მარტო მახლობელ სახელმწიფოებთან, არამედ აზიის, აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. საქართველო, მრავალი საუკუნის მახდილზე, ცნობილი პოლიტიკური ერთეული იყო მსოფლიოს დიპლომატიურ წრეებში.

საქართველოს, კარგა ხანს, უცხო ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში, წონა არ დაუკარგავს იმის შემდეგაც, როცა ქართული სახელმწიფოებრიობა, გარკვეული ისტორიული მოვლენების გამო, დაუძღურდა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი, როცა საქართველო პოლიტიკურად უკვე წაქცეული იყო, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებში, იგი ჯერ კიდევ სავსებით მოვიწყებული არ ყოფილა. ქართველი პოლიტიკოსები, მიუხედავად რთული გარემოცვისა, ახერხებდნენ მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებისათვის თვალყურის დევნებას და ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ისტორია მონოგრაფიული წესით დღემდე არ გამოქვეყნებულა. მართალია, ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება მიექცა, მაგრამ მონოგრაფიული ნაშრომი საგანგებოდ საგარეო პოლიტიკის ისტორიას დღემდე არ მიძღვნია. დაწინაურებული ხალხების ისტორიკოსებს თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ისტორია, საერთაშორისო ვითა-

რების ფონზე, განხილული აქვთ და არა ერთი ნაშრომი დაუ-
წერიათ და გამოუქვეყნებიათ კიდევ.

ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის
დაწერას, ყველგან და ყოველთვის, წინ უსწრებდა, პირველ რი-
გში, სოციალური ისტორიის დამუშავება და შემდეგ საგარეო
პოლიტიკის ცალკეული საკითხების შესწავლა. მხოლოდ ასეთ
საფუძველზე დაყრდნობით ხერხდებოდა ამა თუ იმ სახელმწი-
ფოს საგარეო პოლიტიკის შეჯამებული ისტორიის მონოგრა-
ფიული წესით წერა.

მაგრამ ქართველი ისტორიკოსი, დასავლეთ ევროპისა და
რუსეთის ისტორიკოსთაგან განსხვავებით, მეტისმეტად რთულ
პირობებშია მომწყვდეული. თურქეთ-ირანის განუწყვეტელი
აგრესიის შედეგად, საქართველოს სახელმწიფო არქივები არ
გადარჩენილა. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ქართველი
მეფეების სამდივანმწიგნობროებს კარგად მოწესრიგებული
აქტსაცავები ჰქონდათ. დღეს ჩვენ ამ არქივებიდან ცალკეული
საბუთები თუ შემოგვრჩა. ქართველი დიპლომატების უცხო
სახელმწიფოებთან მიმოწერა უცხოეთის არქივებში გვაქვს სა-
ძიებელი. ამ მხრივ ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწიეს რუსეთის
სახელმწიფოს არქივსაცავებმა.

როგორც განსვენებულ მ. თამარაშვილის ნაშრომიდან ჩანს,
საყურადღებო საბუთებია დაცული რომის კათოლიკურ ეკლე-
სიის არქივსაცავებში, მნიშვნელოვანი საბუთები უნდა იყოს
თურქეთის სახელმწიფოში დაცულ არქივებშიც. ირანის არქი-
ვების შესახებ ჩვენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეუმოწმებელი
ცნობები გვაქვს. სპარსეთის შაჰების კანცელარიის არქივები
დაუცნობრემელი შინა ომების შედეგად თითქოს საფუძველიანად
ნადგურდებოდა. მაგრამ არც ამ ცნობაზე დაყრდნობა შეიძ-
ლება, საჭირო არის არქივმცოდნე მკვლევარის მივლენა და
ადგილზე საქმის ვითარების შესწავლა. სპარსული ნარატიული
ქეგლებით დაკმაყოფილება, თუკი დიპლომატიურ მიმოწერის
საბუთები ფირმანებისა თუ სხვა სახით გადარჩენილია, აღარ
შეიძლება.

მაგრამ აქ მთელი სირთულე იმაშია კიდევ, რომ ამა თუ იმ
ქვეყნების არქივებში დაცული საბუთების უმრავლესობა გამო-

ქვეყნებული არ არის და ქართველ ისტორიკოსს საგარეო პოლიტიკის ისტორიის დამუშავება ამ გარემოებითაც უფერხდება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან ერთი საკითხის დაზუსტება და სათანადო საარქივო დოკუმენტების გამოცემა გვაქვს გათვალისწინებული.

1958 წელს, ჟურნალ „მნათობის“ XI ნომერში, ჩვენ წერილი დავბეჭდეთ სათაურით „ქართველი მეფის წერილი პოლონეთის არქივსაცავში“. იქ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ჯერ კიდევ 1823 წელს, თუ ამაზე უფრო ადრე, პოლონელმა ისტორიკოსმა ბუსემ, ვარშავის არქივში, ქართველი მეფის კონსტანტინე დიმიტრის ძის ესპანეთის დედოფლისადმი (იზაბელა კასტილიელისადმი) გაგზავნილი წერილის ძველ რუსულ ენაზე თარგმნილი ტექსტი აღმოაჩინა და ეს ფაქტი „რუსეთის ლიტერატურის თავისუფალ საზოგადოებას“ აუწყა და 1823 წელსვე საბუთის ტექსტი, მცირე განმარტებით, ჟურნალ „Соревнователь Просвещения и Благотворения“-ს მეხუთე ნომერში დაბეჭდა. ამის შემდეგ ამ საბუთის ტექსტი 1850 წელს ჟურნალ „Закавказский Вестник“-შიაც გადმოიბეჭდა. აკად. მ. ბროსემ კი ამ წერილის ფრანგული თარგმანი, განმარტებით თავის „Histoire modérn de la Géorgie, addition première“-ში დაბეჭდა.

თავისთავად ცხადია, თითქმის საუკუნენახევრის წინათ გამოცემული საბუთი, საისტორიო მეცნიერების დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა და ჩვენ, ამ რამოდენიმე წლის წინათ, კონსტანტინე მეფის წერილის რუსული ტექსტის კვლავ გამოცემა განვიზრახეთ. ტექსტის კვლავ გამოცემის განზრახვა იმ გარემოებითაც იყო ნაკარნახევი, რომ დღეს ძველი გამოცემები ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ქართველი მეფის წერილის ხელმეორედ გამოცემა გადაწყვიტეთ, მაგრამ არა განსვენებული მეცნიერის, ბუსეს მიერ ამოკითხული და დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, არამედ თვით ვარშავაში დაცული ხელნაწერის მიხედვით. ასეთი უნდობლობა, ბუსეს მიერ გამოცემული ტექსტის მიმართ, ჩვენ მიერ შენიშნულმა ზოგიერთმა შეცდომამ აღვიძრა. ჩვენთვის მაშინ

გარკვეული არ იყო ეს შეცდომები ხელნაწერიდან მომდინარეობდა, თუ თვით გამომცემელს გაეპარა ამოკითხვის დროს. გამომცემულ ტექსტში თარიღიც შეცდომით იყო დაბეჭდილი — 1465 წელი. ამ წელს, როგორც ვიცით, არც კონსტანტინე მეფობდა საქართველოში და არც იზაბელა იყო სრულიად ესპანეთის მეფე-დედოფალი.

1953 წელს, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ნ. კეცხოველის შუამდგომლობით, ჩვენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დავუკავშირდით და ვთხოვეთ მიეწერათ პოლონეთის სათანადო უწყებისათვის, რათა კონსტანტინეს წერილის ფოტოსურათი ან თვით საბუთის დროებით თბილისში გადმოგზავნა მოეგვარებინათ. მაშინ ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა იმაზე, თუ რას წარმოადგენდა ის ხელნაწერი, რომელშიაც კონსტანტინე ქართველი მეფის წერილის ტექსტი იყო დაცული, თორემ დედნის გადმოგზავნას არ ვითხოვდით.

1953 წელს პოლონეთის დედაქალაქი, ვარშავა, ისე დარბეული და დანგრეული იყო, რომ სამეცნიერო დაწესებულებები ის-ის იყო მუშაობის განახლებას იწყებდნენ და ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება მათ არ შეეძლოთ. ვარშავის არქივები გააფთრებული ბრძოლების დროს განადგურებულა. მტერი დაუნდობლად სპობდა პოლონეთის კულტურის ძეგლებს. მე-19 საუკუნის არქივების 90% სამუდამოდ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს. წინა საუკუნეების წერილობითი ძეგლები, ვარშავაში დაცული, შემთხვევით გადარჩენილიყო ერთი დანგრეული, უსახურავო შენობის ეზოში. ხელუხლებლად გადარჩენილა ქალაქ კრაკოვის უმდიდრესი სიძველეთსაცავები და სხვა ისტორიული ძეგლები. კრაკოვი ისე სწრაფად გაათავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა, რომ მტერმა მისი განადგურება ვეღარ მოასწრო. მუზეუმებისა და არქივების გამოცდილ თანამშრომელთა უმეტესობა ან შემთხვევით დაიღუპა ვარშავის განუწყვეტელი ბომბარდირების დროს, ანდა ფაშისტებმა სატუსალოებში გამოამწყვდიეს და იქ ნაწილი შიმშილით ამოჰლიტეს, ხოლო ნაწილი დახვრიტეს.

ასეთ ვითარებაში, 1953 წელს, ჩვენთვის საინტერესო კონსტანტინე მეფის წერილის მოძებნა არავის არ შეეძლო,

და პოლონეთიდან ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რამოდენიმე თვის შემდეგ, თავის მიმართვაზე უარი თქვას — ასეთი საბუთი ვარშავაში არ მოიპოვებაო.

მაგრამ 1958 წლის შემოდგომაზე, საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე ქ-ბნი ევგენია კრასოვსკა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტსაც ესტუმრა. უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს პროფ. გ. ძოწენიძეს ცნობა ჰქონდა, რომ მე პოლონეთის მასალებზე ვმუშაობდი და პატივცემულ ევგენია კრასოვსკასთან გასასაუბრებლად მიმიწვია. პოლონელი სტუმრებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ძველი პოლონეთისა და საქართველოს დიპლომატიურ-მეგობრული ურთიერთობის შესახებ ისტორიული ცნობების არსებობა. უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილემ, პოლონეთში დაბრუნებისთანავე, ჩვენს უნივერსიტეტს აცნობა, რომ პოლონეთის მთავრობის ხარჯზე მე მიწვევდნენ პოლონეთის სიძველეთსაცავებში სამუშაოდ. 1959 წლის მარტში უკვე ვარშავაში ვიმყოფებოდი. თუ როგორი იდეალური პირობები შემიქმნეს პოლონეთში სამუშაოდ, ამის შესახებ 1959 წლის გაზეთ „თბილისის“ ივნისის ნომრებში საგანგებოდ მქონდა საუბარი და ახლა აქ აღარ გავიმეორებ.

ვარშავაში ჩასვლისთანავე კონსტანტინე მეფის წერილის ძებნას შევუდექი, ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ახალგაზრდა ასისტენტის თადეუშ ვაშილევსკის თანხლებით. პოლონეთის საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელის ჰენრიხ ალტმანისა და პოლონეთის ძველი აქტების საცავის თანამშრომელთა ხელშეწყობით, რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ აღმოჩენილ იქნა კონსტანტინე მეფის წერილის ძველი რუსული თარგმანის ტექსტი.

რას წარმოადგენს ეს ხელნაწერი?

ლიტვის დიდი სამთავროს სახელმწიფო კანცელარიას მე-15 საუკუნიდან წესად შემოუღია დიდი მთავრის კანცელარიაში შემოსული და კანცელარიიდან გაცემული დოკუმენტების სრული ტექსტები საგანგებო წიგნებში ჩაეწერათ. წიგნებში შეჰქონდათ, მთელი სისრულით და უკლებლივ, დიპლომატიუ-

რი ხასიათის მიმოწერა, ხოლო მამულის ბოძების და სხვადასხვა უწყებებთან მიმოწერის დოკუმენტები კი შერჩევით. დღეს ამ ჩანაწერების წიგნებს საისტორიო მეცნიერება „Литовская метрика“-ს სახელწოდებით იცნობს. ეს ძეგლი, რომელიც მრავალ ტომს შეიცავს, დღეს უდიდესი მნიშვნელობის წყაროდ ითვლება პოლონეთის, ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის ისტორიისათვის. მაგრამ ამ წიგნების დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. რადგანაც დიდი მთავრის კანცელარიას ხშირად სხვადასხვა ცნობების ამოკრება ან შეჭერება სჭირდებოდა ამ წიგნებში დაცულ საბუთებთან, ხოლო დროთა ვითარებაში, სიძველის გამო, რაკი წიგნები ზიანდებოდა, მე-16 საუკუნის ბოლოს და მე-17 საუკუნის დასაწყისში „მეტრიკის“ წიგნების პირები გადაუღლიათ. მიმდინარე საქმეების საჭიროებისათვის ამ პირებს იყენებდნენ, ხოლო ამათი დედნები ქალაქ ვილნიუსის დიდი მთავრის ციხე-სასახლეში ინახებოდა, მათი პირები კი სხვა შენობაში.

მე-17 საუკუნის შუა წლებში, გაერთიანებულ ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს დაძაბულ საგარეო ომების დროს, ვილნიუსის კოშკში დაცული „მეტრიკის“ XV—XVI საუკუნეების დედნები, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, დაიღუპა, ხოლო მე-17 საუკუნის დასაწყისში გადაწერილი პირები გადაარჩა. მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში, „ლიტვის მეტრიკის“ ამ მე-17 საუკუნის დასაწყისში გადაწერილი ნუსხებიდან, ისევ პირები გადაიღეს, ახლა უკვე რუსული ტექსტები პოლონური ანბანით გადაწერეს. თვით მე-17 საუკუნის პირების წიგნებს ახალი ყდები გაუკეთეს. დაშლილი ფურცლები ისევ გადანომრეს, და როდესაც თვითმპყრობელურმა რუსეთმა, ევროპის სხვა მტაცებლებთან შეთანხმებით, პოლონეთის სახელმწიფო მიიტაცა ვარშავითურთ, მე-17 საუკუნეში გადაწერილი „ლიტვის მეტრიკა“ პეტერბურგში გადმოიტანა და იგი რუსეთში ინახება დღესაც.

მაშასადამე, ისტორიკოსმა ბუსემ რომ კონსტანტინე ძეფია. იზაბელა ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის ძველი რუსული თარგმანის ტექსტი გამოგზავნა და 1823 წელს ჟურნალ „Соревнователь Просвещения и Благотворе-

НИИ“-ს V ნომერში დაბეჭდა, გადმოღებულია დღეს ვარშავაში დაცული „ლიტვის მეტრიკის“ მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში პოლონური ანბანით გადაწერილ პირიდან. სანდოობის თვალსაზრისით დღეს რუსეთში, მოსკოვის არქივში, დაცული „მეტრიკის“ ნუსხა სჯობია ვარშავისას.

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ პოლონეთში კონსტანტინე ქართველი მეფის წერილის ძველ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანი ცალკეულ საბუთად არ არსებობდა, წერილის ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ ლიტვის დიდი სამთავროს კანცელარიის „მეტრიკის წიგნში“ ყოფილა შეტანილი სხვა საბუთების ტექსტებს შორის. კონსტანტინე მეფის წერილი მოთავსებულია მეტრიკული ჩანაწერების V წიგნში 328—329-ე ფურცლებზე მე-17 საუკუნის ნუსხაში, ხოლო ვარშავაში დაცულ მე-18 საუკუნის ნუსხის V წიგნში — 563—564-ე ფურცლებზე.

ჩვენ ზემოთ ერთგან აღნიშნული გვქონდა, რომ 1953 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით პოლონეთის სათანადო უწყებას კონსტანტინე მეფის წერილის ფოტოპირს ან თვით საბუთის (დროებით) საქართველოში გადმოგზავნას ვთხოვდით, მაშინ ჩვენ წარმოდგენა არა გვქონდა რას წარმოადგენდა პოლონეთში დაცული ძეგლი, თორემ „მეტრიკის ჩანაწერების“ V წიგნის თბილისში დროებით გადმოგზავნას ჩვენ არ ვითხოვდით¹. ამჟამად კონსტანტინე მეფის წერილის რუსული თარგმანის მე-17 და მე-18 საუკუნეთა ნუსხების ფოტოპირები ხელთა გვაქვს და იგი აქვე იბეჭდება.

მაგრამ, სანამ ძირითადი საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის შესახებ არა ერთი საყურადღებო მოსაზრება განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში². მან, მისთვის ჩვეული მეცნიერული სიზუსტით,

¹ ჩვენი ამ წინადადების შესახებ დაწვრილებით იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 137—138.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეოთხე, 1948, გვ. 153—162.

გადაწყვიტა კონსტანტინე მეფის წერილის თარიღის საკითხი. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის „ლიტვის მეტრიკის“ ნუსხაში წერილი დათარიღებულია 1465 წლით. ამ წელს არც კონსტანტინე მეფობდა საქართველოში და არც იზაბელა იყო სრულიად ესპანეთის დედოფალი. ახლა არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაში, რომ საბუთი 1495 წელს არის დაწერილი და გაგზავნილი. ეს დაამტკიცა განსვ. ივ. ჯავახიშვილმა ვატიკანის არქივში დაცული საბუთით. ქართველი მეფის ელჩი, რომელსაც ესპანეთის დედოფალთან უნდა მიეტანა წერილი, რომის პაპთანაც გარკვეული დავალებით მისულა, წერილი და საჩუქრები გადაუცია კონსტანტინეს სახელით. მაშინდელი პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინე მეფეს 1496 წლის 10 ივლისით დათარიღებულ საპასუხო წერილს უგზავნის. პაპის ეპისტოლეს შინაარსი ცხადყოფს, რომ კონსტანტინეს ელჩი, წერილით საქართველოდან ესპანეთში 1495 წელს უნდა გამგზავრებულიყო.

განსვ. აკადემიკოსის არგუმენტაცია რომ სავსებით მისაღებია კონსტანტინეს წერილის დასათარიღებლად, ეს სავსებით ნათელი ხდება „ლიტვის მეტრიკის“¹ ჩანაწერების მე-17 საუკუნის ამავე საბუთის თარიღიდან. აქ კონსტანტინეს წერილი დათარიღებულია 1495 წლით. მაგრამ 90-ის აღმნიშვნელი ახბანი „r“ ისე არ არის დაწერილი, როგორც ჩვეულებრივ იწერებოდა, თუმცა იგი არც სამოცის აღმნიშვნელ ძველ რუსულ ანბანს „ქს“ არ მიემსგავსება. კონსტანტინე მეფის წერილის თარიღში ამჟამად არსებული შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზეა (მე-18 საუკუნეში) წარმოშობილი.

¹ ლიტვის მეტრიკის ისტორიის შესახებ საერთოდ დაწერილებით იხ. Н. Бережков. Литовская метрика как источник I, Акад. Наук СССР, 1948, გვ. 119—121.

**რატომ აღმოჩნდა კოლონეთში ქართველი
მეფის ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილი
წერილის ძველი რუსული თარგმანი?**

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვით კონსტანტინე მეფის წერილში არა ერთი საყურადღებო ცნობა არის მოცემული. განსვ. აკად. ივანე ჯავახიშვილმა ამ ცნობებს თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და იმ დროის მდგომარეობის დაახლოებითი სურათი ასახა კიდევ. საქართველოდან ესპანეთში ელჩის გაგზავნის საკითხი შემდეგ პირობებში გადაწყვეტილა.

1493-94 წლებში ქართლის მეფეს კონსტანტინე დიმიტრის ძეს ეგვიპტის სულთანთან (მამელუქ ხალიფა აშრაფ სეიფ-ადდინ კაიტბეისთან) თავისი მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი კირნილოსი ელჩად გაუგზავნია. ამის შესახებ წერილში აღნიშნულია: «И для которого дела послали есьмо священноинока, а духовника нашего Корнила ко солтану Египетскому до Кария, а он принял его с радостию великою».

მაშასადამე, კირნილოს მღვდელ-მონაზონი ეგვიპტის სატახტო ქალაქში, ქაიროში, მიუვლენია კონსტანტინე მეფეს. ქართველი მეფის წერილიდან არ ჩანს კონკრეტულად რა დავალება ჰქონდა კირნილოს მღვდელ-მონაზონს ეგვიპტეში, მაგრამ თურქეთის საწინააღმდეგო გეგმებზე რომ უნდა ესაუბრათ ქართველ ელჩსა და ეგვიპტის ხელისუფალს, ამის შესახებ წერილში გაკვრით აღნიშნულია. იქ ვკითხულობთ: «И ныне же слышахом и надежду твердую имеем, яко господь наш Иисус Христос истинный бог наш, дал нам победу на безбожных Агарян и для которого дела послали есьмо священно-

იწიკი, ა დუხუვნიკი ნაშეგო კორნილა კო
სოლტანუ ეგუიეტსკოჲ...».

ამ ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ოსმალეთის დაცემას და
დაუძღურებას გეგმავდნენ ქართველი ელჩი და ეგვიპტის სულ-
თანი. კონსტანტინეს წერილში ისიც აღნიშნულია, რომ უღვთო
და უწმინდურ სახელმწიფოებთან, თუ არ ოსმალეთის საწინაა-
ღმდეგოდ, კავშირი და არავითარი ერთობა ჩვენ არ გვაქვსო:
«...ИНО МЫ С НЕЧЕСТИВЫМИ НЕ ИМЕЕМ НИ КОТОРОЕ ЕДНОСТИ».

როგორც ჩანს, კონსტანტინე მეფეს, ვითარცა ქრისტიანულ
სახელმწიფოთა ანტითურქულ კოალიციის ინიციატორს, ეუხერ-
ხულეზოდა ეგვიპტის სულთნის მეგობრად თავის გამოცხადე-
ბა ესპანელი დედოფლის წინაშე, რომელმაც ის-ის იყო პირი-
ნის ნახევარკუნძულზე არსებული არაბთა სახელმწიფო მოსპო
და ამ გამარჯვებას ახლა ასეთი აღფრთოვანებით ულოცავდა
მას ქართველი მეფე. თავისთავად ცხადია, ქართველ პოლიტი-
კოსებს არ შეეძლოთ სარწმუნოებრივი პრინციპით ყოველთვის
ეხელმძღვანელათ და შექმნილი სიტუაციის პირობებში, მტრის
შესამუსრავად, მოკავშირე არ ეძებნათ მახლობელ თუ შორე-
ულ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა შორის.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, ასეთ
პოლიტიკას საქართველოს დიპლომატია, თავის არსებობის შა-
ნძილზე, ყოველთვის მიმართავდა და არა ერთხელ თავისი ქვე-
ყანა მძიმე მდგომარეობიდან დაუხსნია. მოვიგონოთ ილხანე-
ბის ძლიერების შესამუსრავად ქართველების ოქროს ურდოს-
თან კავშირი და მეგობრობა, ირანის წინააღმდეგ თურქეთთან
საერთო ენის გამონახვა და პირიქით. ეს პოლიტიკა შუა საუ-
კუნეებში შექმნილი არ იყო. ამ ხერხს, აგრესიულ მეზობლე-
ბის წინააღმდეგობაზე ბალანსირებას, იყენებდნენ ჩვენი წინა-
პრები ძველი სპარსეთის, საბერძნეთისა და ხაზარეთის ძალმო-
პრეობის შესაფერხებლად.

ეგვიპტის ხელისუფლებთან ქართველ პოლიტიკოსებს მე-15
საუკუნეში რომ ხანგრძლივი მეგობრობა და კავშირი ჰქონიათ,
ამის შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული აკად.
ბ. მარს თავის «Предварительный отчет о работах на Си-
нае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым...».

აქ ერთგან აღნიშნული აქვს: „ძვირფასი... ცნობა შეგვინახა... სომხურმა ხელნაწერმა ეპისკოპოს მარტიროსის შესახებ. ქართველებმა მე-15 საუკუნის დასაწყისში გოლგოთიდან (მონასტრიდან) სომხები გამოდევნეს. ეპისკოპოსი მარტიროსი რამოდენიმეჯერ გამგზავრებულა ეგვიპტეში, აუარებელი ფული დაუხარჯავს ეგვიპტის დიდკაცთათვის მისართმევ საჩუქრებზე, მაგრამ არაფერი არ გამოსვლია. ეგვიპტის სასახლეში მყოფმა მეგობრებმა ურჩიეს მას გოლგოთას გამოთხოვებოდა და ქართველებს არ შეცილებოდა, რადგანაც მათ (ქართველებს) მეფე უმაგრებდა ზურგს, რომელმაც (ე. ი. ქართველების მეფემ) ფულს გარდა (ეგვიპტის ხელისუფალს), ყოველწლიურად მსახურთა გამოგზავნა და თავის სამეფოს ფარგლებში მაჰმადიანთა არ შევიწროება აღუთქვა. მუსლიმანთა დამოკიდებულებას, კერძოდ, ეგვიპტელ მამლუქების ქართველებთან დამოკიდებულებას, შუქს ჰფენს იერუსალიმის მართლმადიდებლურ საპატრიარქოს არქივში დაცული არაბული საბუთები. მათი რიცხვი არცთუ მცირეა. მე მოვახერხე მხოლოდ ორი საბუთის შინაარსით მესარგებლა. ორივე საყურადღებოა. ერთიდან ვიტყობთ, რომ ქართველ მლოცველთა მშვიდობიანად მოგზაურობის უზრუნველსაყოფად ქართველთა ჯვარის მონასტერში საგანგებო მოხელე იმყოფებოდა, ყოველთვის ერთი და იმავე არაბის ოჯახიდან, რომელიც (ქართველ) მლოცველებს ალაბში (ალეპოში) შეხვდებოდა, იერუსალიმში მიაცილებდა და შემდეგ ისევ უკან ალაბამდე გაჰყვებოდა“¹.

¹ «Ценное... сведение сохранила армянская рукопись об епископе Мартиросе (в Иерусалимской рукописи). Грузины вытеснили армян с Голгофы в начале XV-го века. Епископ Мартирос несколько раз ездил в Египет, истратил массу денег на подарки египетским сановникам, но ничего не вышло. Его же друзья при египетском дворе посоветовали ему проститься с Голгофою, не тягаться с грузинами так как за ними стоит царь, который кроме денег обещал посылать ему? ежегодно и не притеснять мусульман в пределах своего царства. На отношения мусульман, в частности египетских мамлюков к грузинам могли бы бросить свет арабские документы, хранящиеся в архиве православной патриархии в Иерусалиме. Их не мало. Но мне удалось воспользоваться содержащим лишь

საგან გაუგია, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე არსებული
გრანადის არაბული საამირო ესპანელებს მოუსპიათ და ესპა-
ნეთი გაერთიანებულ ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოდ
ამოყალიბებულა: «А как возвратился он от Египта к
Иеросалиму и нашел в Иеросалиме послов царствия
воехо и с тыми послы царствия твоего до нас приидет,
а от послов тых слышали есьмо победы царствия твое-
го и вельми радовалися есьмо». ქართველ დესპანს იერუ-
სალიმში მყოფი ესპანეთის ელჩები საქართველოში ჩამოუყ-
ვანია.

როგორც ჩანს, კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონი კონსტანტი-
ნე მეფის უმახლობლესი მრჩეველი ყოფილა, ისე რომ მეფე
მას დიდ ანგარიშს უწევდა და იგი, როგორც დესპანი, დიდი
უფლებებითაც ყოფილა აღჭურვილი. ესპანელი ელჩების იე-
რუსალიმიდან საკუთარი ინიციატივით ქართლში მოპატიეება
აღვილად გადასაწყვეტი საქმე არ იყო. ეტყობა, როცა ქართვე-
ლი ელჩი ესპანელ მოციქულებს საქართველოში ეპატიეებო-
და, მას ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობის იდეა იე-
რუსალიმშივე აღეძრა. რა უამბეს მაინც ესპანელმა ელჩებმა
კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონს იერუსალიმში ისეთი, რამაც
ქართველ დესპანს ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთ-
ობის მიზანშეწონილება გადააწყვეტინა და ესპანელი ელჩები
ქართლში ჩამოაყვანინა?

პირინეის ნახევარკუნძულზე 1238 წლიდან მავრების სა-
ხელმწიფო ე. წ. გრანადის ემირატი დაარსდა. ტერიტორია სი-
ერა-ნევადიდან ჰიბრალტარამდე, ანდალუზიის სანაპიროს ნა-
წილის ნავსადგურებით, ამ საამიროს ეკუთვნოდა. ერთხანად
გრანადის სახელმწიფო ესპანელებს უტევდა, განსაკუთრებით
კასტილიას, მაგრამ მე-14 საუკუნიდან შინაგანი წინააღმდეგო-
ბების გამო სუსტდება და თავდაცვაზე გადადის. გრანადის მო-
სახლეობაში მნიშვნელოვან როლს არაბული მოსახლეობა თა-
მაშობდა, არაბებს გარდა ბერბერები და ტყვე ქრისტიანები
ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელებს მონის მდგომარეობა ჰქონ-
დათ შექმნილი. მე-15 საუკუნისათვის ბერბერები მმართველ
არაბებს დაუპირისპირდნენ, ტყვე ქრისტიანები კი ორივეს. ამ
შინა წინააღმდეგობამ ესპანელ მფლობელებს გრანადის სრუ-

ლი დამარცხების საშუალება მისცა. 1430 წლიდან გრანადა კასტილიელ მფლობელებს უკვე ხარკს უხდიდა, მაგრამ გრანადას დაქვეითება ამით არ დამთავრებულა. მე-15 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კასტილიისა და არაგონის გაერთიანება მოხდა, იზაბელა კასტილიელის მეუღლე ფერნანდო არაგონის ტახტის მემკვიდრე გახდა 1479 წლიდან. ძალთა ასეთი გაერთიანების შემდეგ გრანადის საემიროს არსებობაც ისტორიას ჩაბარდა. 1491 წლიდან გრანადა გარემოიცვეს ესპანელებმა. ლაშქარს თან ახლდა როგორც მეფე ფერნანდო, ისე დედოფალი იზაბელა. 1492 წელს გრანადა დაეცა და ესპანელების ხელში გადავიდა. ხმები ესპანეთის ძლიერების შესახებ სწრაფად გავრცელდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კასტილიელ დედოფალს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში პირველობა თავის ქმრისათვის არ დაუთმია. როგორც ჩანს, კასტილიის მოწინავე წრეებს არაგონთან გაერთიანებისას პრიორიტეტი შეუნარჩუნებიათ და იზაბელა დედოფალი ისტორიის არენაზე რჩება, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. 1492 წელი ესპანეთის ისტორიაში ცნობილია არა მარტო როგორც შავრებზე გამარჯვების წელი, არამედ როგორც ქრისტიანთა კოლუმბის კასტილიის სახელმწიფოს სამსახურში შესვლის წელი¹.

გრანადის სრული კაპიტულაცია 1492 წლის იანვარში დასრულდა, მაგრამ საინტერესოა როდის შეხვდნენ ერთმანეთს იერუსალიმში ქართველი და ესპანელი ელჩები. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის თარიღი ამჟამად დადგენილად მიგვაჩნია. იგი 1495 წლის 10 მარტს არის დაწერილი. წერილში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ კონსტანტინემ თავისი ელჩი კორნილოს მღვდელ-მონაზონი ესპანელი სტუმრების თანხლებით ესპანეთში იერუსალიმიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე გაგზავნა: «А как возвратился он от Египта к Иерусалиму и нашол в Иерусалиме послов царствия

¹ ესპანეთის შესახებ აქ მოტანილი ცნობები ამოღებული გვაქვს Рафаель Альтемира-и-Кревеа-ის «История Испании»-დან, 1, 1951, ესპანურიდან რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი. იხ. გვ. 269-418-428.

твоего и с теми... до нас придет... Ино тогдажь, скоро послали есьмо духовника своего... тогожь священноинока Карнила с листьми запечатанными до царствия твоего...».

შემცდარი არ ვიქნებით თუ დავასკვნით, რომ კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონი კონსტანტინე მეფეს 1493 წლის ბოლოს ან 1494 წლის პირველ თვეებში უნდა გაეგზავნა ეგვიპტეში. იგი უმთავრესად ხმელეთით მოგზაურობდა ალბათ, რადგანაც ზღვის გზები თურქების ხელში იყო მაშინ. 1494 წლის პირველ ნახევარში უნდა შეხვედროდა კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონი იერუსალიმში ესპანელ ელჩებს და ამავე წლის შემოდგომაზე უნდა მოსულიყვნენ საქართველოში. 1494 წელს საქართველოში ესპანეთში მომხდარი ამბები უდავოდ იციან. მაგრამ აქ ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებაც. თუ რატომ დაემგზავრნენ იერუსალიმიდან ქართველ მღვდელ-მონაზონს ესპანელი ელჩები. კონსტანტინეს წერილში არაფერია ნათქვამი თუ რატომ გაიგრძელეს გზა ესპანელმა ელჩებმა. საფუძვლით გასაგები არ არის, რამ აიძულა ესპანელები საქართველოში მოსულიყვნენ. განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ესპანელი დესპანები ქართველმა ელჩმა დაპატიჟა, მაგრამ საქმე ის არის, რომ იზაბელა დედოფალს ისინი საქართველოში არ გამოუგზავნია და, რაც მთავარია. იერუსალიმიდან საქართველომდე პატარა გზა არ არის, იმ დროის ტრანსპორტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მაინც. ამავე დროს ელჩებმა ალბათ ესპანეთში გამგზავრების სხვა მარშრუტიც გაითვალისწინეს იერუსალიმშივე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოდან ელჩები ისევ იერუსალიმით და ხმელთაშუა ზღვით ესპანეთში არ გამგზავრებულან. ამიტომ საფიქრებელია, რომ ესპანეთის ელჩებს ან იერუსალიმიდან ესპანეთში დაბრუნება, თურქეთის მიერ შექმნილ რაიმე დაბრკოლებების გამო, აღარ ენერხებოდათ, ანდა, რაკი ქართველმა ელჩმა მათ თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის პერსპექტივა გადაუშალა, ისინი საქართველოში გამომგზავრების წინადადებას ადვილად დათანხმდნენ. ჩვენ უფიქრობთ, რომ ესპანელ მღვდელ-მონაზონს იერუსალიმში საწინააღმდეგო კო-

2. ი. ცინცაძე



ალიციის მოწყობის პერსპექტივამ დააინტერესა. თურქეთი მაშინ ახლად ფეხზე წამოდგარ ესპანეთს მნიშვნელოვან გზებს უკეტავდა და ამ ძლიერი სახელმწიფოს დაცემის პერსპექტივა ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის სახელმწიფოებს განსაკუთრებით აინტერესებდათ. ამიტომ ესპანეთის ელჩებს სამშობლოში დაგვიანებით დაბრუნება არ აფიქრებდათ, ესპანეთის მაშინდელი მთავრობა ასეთი შორეული მოგზაურობის გამო მათ არ უსაყვედურებდა.

საქართველოში კი თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის იდეა მე-15 საუკუნის მიწურულისათვის ახალი არ ყოფილა. როგორც გამორკვეულია, თურქების მიერ კონსტანტინოპოლისა და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდების შემდეგ, რომის პაპების ინიციატივით თურქეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის ცდა არა ერთი იყო. 1458-60 წლებში ქართველი მეფე-მთავრებიც გამოეხაურნენ პაპი პიუს II-ეს მოწოდებას და დიდი სამზადისიც ჩაატარეს, მაგრამ ევროპის სახელმწიფოებმა შინა წინააღმდეგობებს თავი ვერ გაართვეს და საქმე ჩაიშალა. 1494—1495 წლებში, როგორც ჩანს, საქართველოში ესპანეთის გაძლიერების ცნობამ ძველი გეგმა — თურქეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით გალაშქრება, კვლავ გამოაცოცხლა და ამ საქმეში კირნილოს მღვდელ-მონაზონს გარკვეული დამსახურება მიუძღვის. მღვდელ-მონაზონი კონსტანტინე მეფის კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და იგი, ეგვიპტიდან ახლად დაბრუნებული, ქართველმა მეფემ ესპანეთსა და რომში გაისტუმრა. ქართველი დიპლომატი მღვდელ-მონაზონი შეზღუდული აზროვნების ადამიანი არ ჩანს, იგი ისეთივე თავისუფალი მოაზროვნე სასულიერო პირი ყოფილა, როგორც ჩვენ საბა-სულხან ორბელიანს და ანტონ კათალიკოსს ვიცნობთ შემდგომ საუკუნეებში, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ. კონსტანტინე მეფის კარზე, იერუსალიმიდან ჩამოსულ სტუმრებთან თათბირის შემდეგ, ალბათ დარბაზის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება შესაძლებლად დაუენახავთ. წერილში ერთგან აღნიშნულია: «И я ссыном своим и с родимом своим

колько могу как пришлет твое царство посла своего до нас, ино мы готовы не ленивы есьмо ехати за твоею милостию».

მაშასადამე, კონსტანტინე ქართლის მეფე თავისი შვილით თურქეთის წინააღმდეგ ესპანელებთან ერთად გასალაშქრებლად ემზადება. თავისთავად ცხადია, ქართველი მეფე საქართველოს სამხრეთის საზღვრებიდან დაესხმებოდა თურქეთს.

სავსებით სამართლიანია განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, რომ ამჟერად საქართველოს სხვა მფლობელების თურქეთის წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობაზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება და კონსტანტინე თავის წერილში მხოლოდ საკუთარ თავსა და შვილზე ლაპარაკობს. მართლაც, საოცარია კონსტანტინე მეფის წერილის ეს ადგილი. რა დაეძრათა იმერეთის, კახეთის მეფეებს, ასევე, სამცხე-საათაბაგოს, გურიის და სამეგრელოს სამთავროებს, ნუთუ მათ უარი განაცხადეს კოალიციაში მონაწილეობაზე? არ არის საფიქრებელი, რომ კონსტანტინე ქართლის მეფემ კახეთისა და იმერეთის მეფეებს თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის ეს ახალი გეგმა არ გააცნო. კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძე სწორედ ამავე წლებში რუსეთთან ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობას და, როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსავალს ეძიებს. იმერეთის მეფის ალექსანდრე ბაგრატიის ძის საგარეო პოლიტიკის ძირითადი გეზი არ ჩანს წყაროებში, მაგრამ უდავოა, რომ თურქეთის გაძლიერების გამო არც მისი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო სხვაზე უკეთესი. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ქართლის მეფის გამოსვლა თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შესაქმნელად გაუგებარია.

1495 წლისათვის კონსტანტინე მეფეს საგარეო პოლიტიკაში სრულიად საქართველოს მეფის სახელით გამოსვლა (იმერეთის, კახეთის, სამცხე-საათაბაგოს) სხვა ქართველ ხელისუფალთა თანხმობის გარეშე ვერ უნდა გაეხდებოდა. კონსტანტინე, საქართველოს გაერთიანებისათვის წლების განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლაში, როგორც ვიცით, დამარცხდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1490 წელს კონსტანტინე მეფემ: „შე-

მოიკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა თუ რა ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა, მაშინ დედებულნი იტყოდენ: „ვინადგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მერე მძლე ვექმნეთ ერთსა, არაღარა მოგუცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს მეფობასავე შენსა. ხოლო იხილა რა ესე ვითარება თვისთაგანცა მეფემან, ამისთვის აღირჩია მშვიდობა... კახთა ბატონმან ალექსანდრე და მეფემან კონსტანტინე ჰყვეს მშვიდობა სიყვარულისა, კვალად ათაბაგისათანა და შემდგომად ალექსანდრე იმერთა მეფისათანა და რომელნი აღვწერენით საზღვარნი დაიპყრნეს ეგრეთა“¹. როგორც ვხედავთ, ქართლის მეფემ de facto-დ აღიარა საქართველოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად არსებობა და ამ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობა აღადგინა, თუმცა, როგორც ზემოთ მოტანილ ამონაწერიდან ჩანს, საქართველოს გაერთიანების იდეა ქართლის მეფის საშინაო პოლიტიკის დღის წესრიგიდან პრინციპულად არ მოხსნილა „ვაცადოთ ჟამი უკეთუ კვალად აგოს მეფობასავე შენსა“-ო.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ კონსტანტინე მეფეს მხოლოდ საკუთარ თავზე და თავის შვილზე შეეძლო ოფიციალურ დოკუმენტში ლაპარაკი, თუკი სხვა ქართველ მფლობელთა თანხმობა თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნაზე არ ჰქონდა.

შესაძლებელია კახეთისა და იმერეთის მეფეებმა პრინციპულად თანხმობა განაცხადეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ წერილში საგანგებოდ ამის შესახებ საუბარი არ ისურვეს მტრის შიშით. კონსტანტინეს წერილში ერთგან აღნიშნულია კიდევ, რომ წერილში ყველაფერი ვერ დაწერეთ მტრების შიშით, ესპანეთი-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, 1948, გვ. 150—151.

საკენ მომავალ გზებზე მრავალი მტერია და ამიტომ ელჩი ზეპირი მოხსენებით გაუწყებთ სხვა წინადადებასო: «А опроч листов (წერილებს გარდა, — ი. ც.) и иные речи духовные услышите и от него, того ради что суть на пути врази мнози, как ведомо царствию твоему, что всегда мучимы есьмо от безбожных перс...».

მაგრამ ერთი გარემოებაც გასათვალისწინებელი გვჩვენება ზემოდანმული საკითხის სავარაუდოდ გადასაწყვეტად.

კონსტანტინე ქართლის მეფე, როცა ესპანეთში ელჩს გზავნიდა და შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების დროს ორიენტაციის საკითხს წყვეტდა, როგორც ჩანს, დაბრკოლებებს უნდა წაწყდომოდა და არც ისე მარტივად უნდა გადაჭრილიყო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

როგორც რომის პაპის არქივში დაცული საბუთებიდან ჩანს, კონსტანტინე მეფეს დარბაზის თათბირის დროს კათოლიკური ეკლესიის ცენტრისადმი, რომის პაპისადმი, ქართლის სახელმწიფოს დამოკიდებულებების საკითხიც დაუყენებია და გადაუჭრია კიდევ. ამის შესახებ კონსტანტინეს იზაბელასადმი გაგზავნილ წერილში არაფერია ნათქვამი, მაგრამ, როგორც ვატიკანის არქივში დაცული საბუთებიდან ჩანს, იმავე კონსტანტინე მეფეს იმავე კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონის ხელით იმავე წელს რომის პაპისადმი (ალექსანდრე VI) წერილი და საჩუქრები გაუგზავნია. კონსტანტინეს წერილი პაპისადმი აღმოჩენილი და გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ რომის პაპის ალექსანდრე VI პასუხი კონსტანტინე ქართლის მეფისადმი უკვე გამოცემულია ქართული თარგმანით. მეტისმეტად საყურადღებო საბუთია ეს საპასუხო წერილი. იგი 1496 წლის 10 ივლისით არის დათარიღებული.

პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინეს სწერს: „... ჩვენს საყვარელ შვილს კონსტანტინეს, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. თქვენი ელჩის, საყვარელი შვილის ნილო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას და აგრეთვე გვილოცავთ და... ღმერთს მადლობას სწირავთ იმ გამარჯვებისათვის,

რომელიც დარჩათ ჩვენთა სახელოვან შვილთა ესპანეთის მეფეს დ დედოფალს ურწმუნოთა წინააღმდეგ. ეგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ...“¹. როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, კონსტანტინე მეფე რომის პაპს ესპანელების გრანადას საამიროზე გამარჯვებას ულოცავს და იმავე დროს თავის გადაწყვეტილებას — თურქეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მზადებას, — აუწყებს. კონსტანტინე, ამავე დროს, რომის პაპს თხოვს თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთის მფლობელები აამხედროს. პაპის საპასუხო წერილში აღნიშნულია: „...იმედი გვაქვს კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოც დავიხსნათ, რადგან აქაური ქრისტიანი მთავრები ამას შემოგვპირდნენ. მაგრამ სამწუხაროდ, ძველმა სულის მტერმა (ე. ი. ეშმაკმა, — ი. ც.). ჩვენი ნატვრისა და სასარგებლო რჩევის წინააღმდეგ იმ მთავართა შორის განხეთქილების ღვარძლი დათესა. მაგრამ ქრისტეს შემწეობით იმედი გვაქვს, მალე შევარიგოთ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ მივაქციოთ...“². როგორც ამავე პაპის საპასუხო წერილიდან ჩანს, ქართლის სამეფოს მმართველ წრეებში რომის პაპის მნიშვნელობა გაზვიადებულად აქვთ. მე-15 საუკუნეში წარმოდგენილი. პაპის გავლენა, ვითარცა კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, კათოლიკურ სახელმწიფოებში ისეთივე მნიშვნელოვანი გონიათ, როგორც მე-12—13 საუკუნეებში იყო. და რომ კათოლიკური სახელმწიფოების თურქთა წინააღმდეგ ამოძრავებას მეტი იმპულსით მოეკიდოს რომის პაპი, კონსტანტინე მეფე და მისი მახლობელი მრჩევლები და მათ შორის, პირველ რიგში, ალბათ აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური, ქართლის კათალიკოსი, კათოლიკური ეკლესიისადმი მიმხრობას სთავაზობენ რომის პაპს.

¹ მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902, გვ. 64—65, ლათინური დედნის ტექსტი, გვ. 598—599.

² მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

ქართლის მეფის დარბაზს ქართული ეკლესიის რომის პაპისადმი დაქვემდებარება გადაუწყვეტია, 1439 წლის ფლორენციის საეკლესიო ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე. როგორც ცნობილია, მე-15 საუკუნის ოცდაათიან წლებში მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ჩავარდნილი ბიზანტიის სახელმწიფო კათოლიკური ეკლესიის ცენტრმა, თურქთა ძალმომრეობის წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის შეპირებით, ერთგვარ დათმობაზე წაიყვანა და 1439 წელს, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ქალაქ ფლორენციის საეკლესიო ყრილობაზე კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებაზე დაითანხმა და რომის პაპის უზენაესობა აღიარებინა.

ქართლის მეფეს კონსტანტინეს, ალბათ მღვდელ-მონაზონ კირ-ნილოსის რჩევით, რომის პაპისათვის (ალექსანდრე VI) ფლორენციის საეკლესიო ყრილობის დადგენილების ტექსტის გამოგზავნა უთხოვია. კონსტანტინეს ეს თხოვნა გარკვევით ჩანს პაპი ალექსანდრე VI მიერ კონსტანტინესადმი გაგზავნილ წერილიდან. აქ აღნიშნულია: „რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროა, ყველა ქრისტიანი სარწმუნოების საქმეში შეუერთდეს და დაემორჩილოს რომის ეკლესიას... უდიდესი მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას (აქ იგულისხმება კათოლიკური სარწმუნოება—ი. ც.) ყურადღება მიაქცია და რაც ამ სარწმუნოების წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან... რადგან თქვენის ორატორის (ე. ი. ელჩის, — ი. ც.) ნილოსის პირით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამოვუგზავნო სარწმუნოების შესახებ გარდაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარხსენებულის პაპის ევგენიო მეოთხის დროს იქნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკლესია თუ ლათინისა და თუ ბერძნისა ეთანხმება, რათა თქვენს და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე... ამიტომ აწ ხსენებულის კრების გარდაწყვეტილებას ჩვენს ტყვეობით დაბეჭდილ წერილთან ერთად გიგ-

ზ ა ვ ნ ი თ. ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ იგი ყველა თქვენს პროვინციაში და ბრძანოთ მისი დაცვა“¹...

ქართლის მეფის ასეთი ნაბიჯი დასავლეთ ევროპაზე ორიენტირების აშკარა მაჩვენებელია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დასავლეთ ევროპიდან ქართველი პოლიტიკოსები დახმარებას მოელოდნენ 1459—1461 წლებშიაც. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ახლა მე-15 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ოსმალთურქთა საშიშროება, წინანდელთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა, მოსალოდნელი იყო ევროპაზე ორიენტირება და ინტერესი ამ მიმართულებით ნაბიჯების გადასადგმელად უფრო უნდა გაცხოველებულიყო ქართველ მეფე-მთავრებს შორის, იმ ინფორმაციის შემდეგ, რომელიც ესპანელ ელჩებს უნდა მიეწოდებინა, როგორც ქართლისათვის, ისე კახეთისა და იმერეთისათვის. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო შენიშნული, კონსტანტინე მეფის წერილში თურქების საწინააღმდეგო კოალიციაში მონაწილედ მხოლოდ კონსტანტინე მეფე და მისი შვილია მოხსენებული.

შესაძლებელია, რომ ევროპის იმედი კახეთის სამეფოსა და იმერეთში აღარ ჰქონდათ იმის შემდეგ, რაც 1459-61 წლების გეგმები ჩაიშალა. დამახასიათებელი შეიძლება იყვეს ამ მხრივ კახეთის მეფის მიერ 1491-92 წლებში გადადგმული ნაბიჯი. როგორც ვიცით, კახთა მეფემ, ალექსანდრე გიორგის ძემ, 1491 წელს ელჩები მიაგვლინა მოსკოვის დიდ სამთავროში და მოსკოვის მთავარს იოანე III დიპლომატიური ურთიერთობა შესთავაზა². კახეთის ელჩები რომ მოსკოვში მშვიდობით ჩავიდნენ ამის შესახებ რუსი მემკვიდრის ცნობა გვაქვს ჩვენ. რა პასუხით წამოვიდნენ მოსკოვიდან კახელი დიპლომატები ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რომ იმ დროს თვით რომის პაპი მოსკოვის

1 მიქელ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902, გვ. 66. ლათინური ტექსტი, გვ. 599 (ხაზგანმა ჩენია).

2 კახეთის მეფის მოსკოვთან ურთიერთობის შესახებ მე-15 საუკუნეში იხ. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X—XVI სს. 1956, გვ. 227—267.

სამთავროზე ამყარებდა იმედებს, ამის შესახებ ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს ახლა. რომში, კარდინალ ბესარიონის მონაწილეობით, მოსკოვის სამთავროს თურქეთის საწინააღმდეგო ლიგაში ჩათრევის გეგმა შემუშავდა¹, რადგანაც დასავლეთ ევროპას შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა და ძალთა გაერთიანებას ვერ ახერხებდა. ამ დროს ძლიერი მოსკოვის სამთავრო ევროპის ყურადღებას იპყრობდა. ალექსანდრე კახთა მეფის წერილში კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ საქართველოშიაც რუსეთის დიდი სამთავრო ცნობილია, როგორც ძლიერი სახელმწიფო. ალექსანდრე კახთა მეფე ასე მიმართავს მას წერილში: „ბრმათათვის სინათლევ, ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების ბურჯო. ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო...“ და სხვა.

ასე იცნობდა კახეთი მოსკოვს მისი ელჩების იქ მისვლამდე, ხოლო როცა მოსკოვიდან დაბრუნდნენ კახეთის ელჩები, მათ არა ნაკლებ საიმედო ცნობები უნდა ჩამოეტანათ კახეთში. მოსკოვის დიპლომატია ხომ საგანგებოდ აწვდიდა მოსკოვში ჩასულ უცხო ქვეყნის ელჩებს რუსეთის დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან და ცდილობდა მათთვის რუსეთის საერთაშორისო მასშტაბით დიდი პოლიტიკური წონა ჩაენერგა².

ასეთი ფაქტების შემდეგ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ დასავლეთ ევროპაზე და რომის კათოლიკურ ეკლესიაზე ორიენტირება 1495 წელს თვით კონსტანტინე ქართლის მეფის და მისი მრჩევლების ინიციატივა არის და სხვა ქართველი მეფე-მთავრები ლოდინის გზას უნდა ადგნენ. კახეთის სამეფო კი უფრო მოსკოვის სამთავროზე უნდა ამყარებდეს იმედებს.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქართლის მეფე არ კმაყოფილდება მარტო ესპანეთის დედოფალთან დი-

¹ ამის შესახებ იხ. К. Базилевич, Внешняя политика русского централизованного государства. Вторая половина XV века, 1952, გვ. 414.

² ამის შესახებ იხ. რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს ე. წ. «наказ»-ები. ბელოკუროვისა და მ. პოლიევქოვის გამოცემებში.

პლომატიური ურთიერთობით, ეს მას საკმარისად არ მიაჩნია იმ საუკუნის პრობლემის გადასაჭრელად და იმავე ელჩს (მღვდელ-მონაზონს) დავალებული აქვს ინახულოს რომის პაპი, თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შესაქმნელად ზრუნვა თხოვოს და ამავე დროს ქართლის სამეფოს ხელმძღვანელთა რომის ეკლესიისადმი დაქვემდებარების გადაწყვეტილება აუწყოს. საყურადღებოა, რომ ქართველი ელჩი, მღვდელ-მონაზონი კირ-ნილოსი, რომიდან სამშობლოში უკვე კათოლიკედ ბრუნდება. რომის პაპის ალექსანდრე VI სარეკომენდაციო ბარათში ვკითხულობთ: „პაპი ალექსანდრე VI. ყველას და თვითეულს... მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა შვილმა ჩვენმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად (მოციქულად, — ი. ც.) წმიდა ბასილის წესის მონაზონი საყვარელი შვილი ნილო, რათა მოეძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანისცემა და ერთგულება. აწ ხსენებული ორატორი ბრუნდებარა უკან თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგვარი თავისუფალი გზა მიეცეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ და საგანგებოდ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენი ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ... და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგი და თანმხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა... როგორც ჩვენ სამფლობელოში, ისე თქვენსაში და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ... ამ წერილს ერთი წლის ვადა აქვს. რომი, 5 ივნისი, 1946 წ.“¹. როგორც ჩანს, ქართველი ელჩი წმ. ბასილის სახელობის კათოლიკური ეკლესიის კორპორაციის წევრი გამხდარა². ჩვენ არ ვიცით ჰქონდა თუ არა

1 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

2 განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილი სრულიად მართებულად დაუფიქრებია იმ გარემოებას, რომ კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გაგზავნილ წერილში კონსტანტინეს ელჩი „კორნელის“ სახელწოდებით იხსენიება, ხოლო რომის პაპის საპასუხო წერილში და სარეკომენდაციო ბარათში კონსტანტინეს ელჩს „ნილოსი“ ეწოდება. განსვ. მეცნიერი სახელების ამ

კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონს ქართველი მეფის ან პატრიარქის სანქცია კათოლიკურ კორპორაციის წევრად გამხდარიყო. შესაძლებელია, ასეთი ნაბიჯი თვით კირ-ნილოსის ინიციატივა ყოფილიყო, რაკი იგი იმთავითვე კათოლიკურ ტიბიკონს იზიარებდა და ქართველ მეფესაც ამ ეკლესიისადმი მიმხრობის მიზანშეწონილებას ურჩევდა.

ასევე მოიქცა, როგორც ვიცით, ორი საუკუნის შემდეგ სახელოვანი საბა-სულხან ორბელიანიც.

მღვდელ-მონაზონი კირ-ნილოსი, საფიქრებელია პირველ რიგში ესპანეთში მიდის იზაბელა დედოფალთან, ხოლო ესპანეთიდან რომში უნდა გამოეველო პაპთან. რომის პაპის კონსტანტინესადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილიდან აშკარა არის. რომ კირ-ნილოსი ჯერ ესპანეთში ყოფილა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პაპი ალექსანდრე VI სარეკომენდაციო ბარათში წერს (1496 წლის 5 ივნისს), რომ ქართველი მეფის ელჩი ნილოსი სამშობლოში მიემგზავრება და ხელი შეუწყვეთო. ცხადია, ქართველი დესპანი ჯერ ესპანეთში მივიდა. მას იზაბელასთან წერილის გარდა, საჩუქრები უნდა მიეტანა: «...надцать девятей камок Яздинских, а полчетвертнацать золотников жемчугу великого, а две девяти рысей» (ცხრამეტ იეზდის ოქროქსოვილს, 35 მისხალ დიდ ობოლ მარგალიტებს და ორ ცხრა (ე. ი. 18) ფოცხვერის ტყავს). საჩუქრები ელჩს პირადად უნდა ჩაებარებინა დედოფლისათვის. საჩუქრები, როგორც ვხედავთ, დედოფლისათვის შესაფერისი იყო.

კონსტანტინე მეფეს ძღვენი რომის პაპისათვისაც გაუგზავ-

სხვაობის ახსნას ვვთავაზობს: „იზაბელას სახელობაზე დაწერილ სიგელში დესპანი თუმცა კორნილოსად არის წოდებული, მაგრამ რომის პაპის ალექსანდრე VI-ის კონსტანტინე მეფისადმი 1496 წ. საპასუხო ეპისტოლეში დესპანად ნილოსია. უეჭველია ამ ორსავე საბუთში ერთი და იმავე პირის სახელი უნდა იყოს. „კორნილოს“ რუსული თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარი იქნება „კვირ-ნილოსი“-საგან, როგორც რუსული საბუთების ენაში იყო მიღებული (ქართვ. ერის ისტორია, წ. IV, გვ. 155). აქაც განსვენებული მეცნიერის მოსაზრებას სავსებით ადასტურებს კონსტანტინე მეფის წერილის მე-17 საუკუნის ნუსხა, სადაც ერთგან კორნელის ნაცვლად „კირ-ნილო“-დ იწოდება ქართველი ელჩი.

ნია. პაპის საპასუხო წერილში აღნიშნულია: „აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს ბრწყინვალეობას ძღვენთათვის, რომელნიც გამოგვიგზავნეთ და დიდის სიამოვნებით მივიღეთ. მათ ვიხმართ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, ვითარცა ვრცლად მოვახსენეთ ჩვენს საყვარელ შვილს ნილოსა“¹.

რა პასუხით წამოვიდა ესპანეთიდან ქართველი ელჩი ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით. შესაძლებელია ესპანეთის ხელნაწერებში ამის შესახებ ცნობა შენახული იყოს კიდევ, მაგრამ იგი არავის უძებნია დღემდე, მომავალში ასეთი მუშაობა ალბათ ჩატარდება. ერთი რამ ცხადია, ქართველ ელჩს პასუხი ესპანეთიდან წერილობითაც მოჰქონდა და ზეპირად დანაბარებიც. იზაბელას საპასუხო წერილში უმთავრესი ამბები არ იქნებოდა აღნიშნული. საიდუმლო და მნიშვნელოვანი ცნობები გაზეპირებული მოჰქონდა ელჩს სახიფათო გზების გამო, რადგანაც წერილი მტერს შეიძლებოდა ხელთ ჩავარდნოდა ელჩის დაქერის შემთხვევაში. რომის პაპის წერილიდანაც ჩანს, რომ ქართველ ელჩს პაპის წერილს გარდა, ზეპირი დანაბარებიც მოჰქონდა მეფესთან მოსახსენებლად. პაპის საპასუხო წერილში აღნიშნულია: „აგრეთვე სხვა რაც მოგვახსენა (ელჩმა), ყველაფრის სიტყვით პასუხი მივეციით“².

სხვა წყაროებიდან დღეს ჩვენ ვიცით, რომ თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობა ვერც ესპანეთის სახელმწიფომ მოახერხა და ვერც რომის პაპმა. ასე რომ კონსტანტინეს გეგმებს განხორციელება არ ეღირსა. მე-15 საუკუნეში ოსმალ-თურქეთის ახლად გაერთიანებული სახელმწიფო შემორჩა მსოფლიოს დღემდე, და ამ ხნის განმავლობაში ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ხალხების დაცემისა და დაქვეითების პროცესი შეუჩერებლად მიმდინარეობდა, სანამ ძლიერი რუსეთის სახელმწიფო თურქეთს არ დაეჯახა და მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთის სწრაფი დაქვეითება არ დაიწყო. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს და სხვა ადგილას.

რატომ აღმოჩნდა კონსტანტინე მეფის წერილი (იზაბელა-

1 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.

2 ი ქ ვ ე.

სადმი გაგზავნილი) რუსულ ენაზე გადათარგმნილი ვარშავის არქივში?

საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის რუსულ ენაზე კონსტანტინეს წერილი, შეეხო აკადემიკოსი ბროსე. მისაზრით, ვარშავაში აღმოჩენილი კონსტანტინეს წერილი დედანი არის, ე. ი. თბილისში 1495 წლის 10 მარტს თითქოს კონსტანტინე მეფემ რუსულ ენაზე დააწერინა წერილი თავის მდივანს და იზაბელას გაუგზავნა, მაგრამ ეს საბუთი შემდეგ ადრესატს თითქოს არ მიუღია, ე. ი. ქართველი ელჩი ესპანეთში არ ყოფილა და გაურკვეველი მიზეზების გამო წერილი ვარშავაში დატოვებულ იქნაო¹.

ყოვლად მიუღებელი მოსაზრებაა. ვის შეეძლო მე-15 საუკუნეში ქართლის სამეფოში საბუთი რუსულ ენაზე დაეწერა და, რაც მთავარია, ვინ წაიკითხავდა იმ დროის ესპანეთში რუსულ ენაზე დაწერილ ეპისტოლეს. იმ დროს თვით რუსები ევროპასთან ლათინურ და ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ მიმოწერას. რუსული ენა მე-15 საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობისათვის არავის არ გამოუყენებია. მაშინ მხოლოდ ლათინური და ბერძნული ენები იყო ქრისტიანული სახელმწიფოებში საერთაშორისო ენად მიღებული. მეფეების კანცელარიები ზოგჯერ ორ ენაზე წერდნენ საბუთებს — ადგილობრივსა და ლათინურ ან ბერძნულ ენაზე. საქართველოდან რუსეთშიაც კი რუსულ ენაზე წერილი არ გაუგზავნიათ და ესპანეთში ვინღა გაგზავნიდა.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ ვარშავაში დაცული კონსტანტინე მეფის საბუთი მეტრიკული ჩანაწერია და არა ცალკეული საბუთი, დედანი რომ ყოფილიყო, მას კონსტანტინე მეფის ხელრთვა ექნებოდა, მას კი ასეთი არ აქვს.

კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის დედანი ლათინურ ან ბერძნულ ენაზე იყო უდავოდ დაწერილი. საქართველოდან ევროპის სახელმწიფოებში მე-15 საუკუნეში ლათინურ ენაზე გაუგზავნიათ ამაზე ადრე წერილები. ასე, რომ ვარშავაში დაცული საბუთი თარგმანია და არა დედანი.

¹. იხ. ბროსე's „Histoire moderne de la Geogrie addition“, I, გვ. 409.

მაგრამ ახლა ჩვენთვის უფრო საინტერესო არის, რატომ აღმოჩნდა რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველი მეფის საბუთი ვარშავაში.

მას შემდეგ, რაც ოსმალ-თურქებმა კულტურული ბიზანტიის ნანგრევებზე თავიანთი სახელმწიფო შექმნეს, ქართველებს შავი ზღვის სრუტეებით ევროპაში გასასვლელი ვაზა ჩაეკეტათ. ამიტომ ერთხანად იმავე მე-15 საუკუნეში, ევროპაში მიმავალი ქართველი, საქართველოს კუთვნილ შავი ზღვის სანაპიროებიდან ზღვით გამგზავრებული, მდინარე დუნაიმდე მიდიოდა, ხოლო იქიდან ვლახეთზე გავლით უნგრეთამდე, იქიდან კი საითაც მოისურვებდა. 1458-59 წლებში, როცა ქართველი მეფე-მთავრები რომის პაპის მოწოდებას (თურქეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად კოალიციაში მონაწილეობის მიღების შესახებ) სიხარულით გამოეხმაურნენ და ევროპაში ელჩები გაგზავნეს, ამ ელჩებს ფაზისიდან შავი ზღვით მდინარე დუნაიმდე მიულწევიათ, აქედან ამ მდინარის სათავეებისაკენ აყოლებით უნგრეთში მისულან, უნგრეთიდან კი გერმანიის იმპერატორს ეახლნენ თურმე, გერმანიიდან კი იტალიისაკენ აიღეს გეზი¹.

მაშასადამე, საქართველოდან (შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვის შემდეგ) ევროპაში მდინარე დუნაის საშუალებით გადიოდნენ. მაგრამ 1476 წლისათვის თურქეთს ვლახეთი დაუქვემდებარდა, ხოლო 1484 წლის 8 ივლისს თურქეთმა ციხე-სიმაგრე კილია დაიკავა, ასე რომ შავი ზღვიდან მდ. დუნაიში შესვლას ამიერიდან თურქეთი კონტროლიერობდა. კილიიდან თურქეთის სულთანი ბაიაზეთი ძირითადი ძალებით მდინარე დნესტრის შავი ზღვის შესართავთან არსებულ ბელგოროდს დაესხა თავს და დაიკავა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თურქეთისათვის შავი ზღვის სანაპიროზე ამ ორი ციხე-სიმაგრის დაპყრობა კარგად ჩანს თვით სულთანის წერილიდან „სულთანი კილიას უწოდებს მოლდავეთის მთელი მიწაწყლის, უნგრეთის და ჩრდილოეთ დუნაის მხარის ალაყაფის კარებს. ხოლო ბელგოროდს პოლონეთის, რუსეთის, თათრების და შა-

1 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61.

ვი ზღვის მთელი ჩრდილო სანაპიროების ტერიტორიების ალა-
ყაფის კარებსა და გასაღებს“¹.

ამრიგად, მე-15 საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველებს
ევროპისაკენ გასასვლელი ღუნაის გზა ისევე ჩაეკეტათ, რო-
გორც ბოსფორი და დარდანელი.

სპარსეთიდან და საერთოდ აღმოსავლეთიდან, ევროპისაკენ მი-
მავალ მგზავრს, საქართველოს ტერიტორიით და შავი ზღვით —
ღუნაის გზით რომ უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა წასვლა,
ეს ვენეციის რესპუბლიკის ელჩის ამბროსი კონტარინის დღი-
ურიდანაც კარგად ჩანს. კონტარინი წერს, რომ: „როცა ირანი-
დან 1475 წელს სამშობლოში ვბრუნდებოდით, ჩემთან ერთად
სპარსეთიდან სხვა ევროპიელი ელჩებიც წამოვიდნენო, მათ
შორის მოსკოვის მთავრის ელჩიცო. ჩვენ გადავწყვიტეთ საქარ-
თველოზე გავლით და შავი ზღვით სამშობლოში დაბრუნებაო“.
მათ, მართლაც, საქართველო გადასერეს თბილისზე გავლით და
ფაზისში ანუ ფოთში მივიდნენ. მაგრამ აქ თავზარდამცემი ამ-
ბავი გავიგეთო, თურქებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე კაფა
ანუ თეოდოსია დაიკავესო. ელჩებს შეშინებოდათ და ამიტომ
ერთმა ნაწილმა უკან დაბრუნება და შემახა-ბაქო-დარუბანდით
ასტრახანისა და ვოლგის გზით მოსკოვზე გავლით ამჯობინა
დასავლეთ ევროპაში გასვლა, ხოლო ნაწილმა კი ჩერქეზეთის
გზით ისურვა გამგზავრება².

მაგრამ მდინარე ღუნაის გარდა, მეორე გზაც არსებობდა
დასავლეთ ევროპაში გასასვლელი. საქართველოს კუთვნილი
შავი ზღვის სანაპიროებიდან — ზღვით მდინარე დნეპრის შე-
სართავამდე, დნეპრით კიევზე გავლით დნეპრის დასავლეთას
შენაკადებით ლიტვა-პოლონეთზე და აქედან დასავლეთ ევ-
როპისკენ ყველა მიმართულებით. მე-12 საუკუნეში საქარ-
თველოდან შავი ზღვით და დნეპრით კიევამდე მგზავრობა
დადასტურებულია რუსული მატიანის ცნობითაც³.

1 К. В. Базилевич, Внешняя политика русского централи-
зованного государства. Вторая половина XV века, 1952, გვ. 239.

2 Библиотека иностранных писателей о России, 1936, გვ. 63.

3 ამ გზის შესახებ იხ. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთი-
ერთობის ისტორიიდან. X—XVI სს., 1956, გვ. 171—189.

სანამ უკრაინა და ბელორუსია ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული, შავი ზღვისა და დნებრის გზა საქართველოს ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან ან ლიტვის დიდ სამთავროსთან აკავშირებდა. ამის შესახებ ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, მაგრამ მე-15 საუკუნის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გასვლა გართულდა. 1492 წლის დასაწყისში ყირიმის ხანი მენჰლი გირეი მოსკოვის დიდ მთავარს, ცნობილ იოანე III, ვითომც როგორც მეგობარს, ატყობინებდა, რომ ლიტვა-პოლონეთის მეფის კუთვნილ ტერიტორიაზე, მდინარე დნებრის შავი ზღვის შესართავის რაიონში, დნებრის მარჯვენა ნაპირის დასავლეთით, ციხე-სიმაგრის აგება გადაეწყვიტო და განზრახულის სისრულეში მოსაყვანად მუშაობა უკვე მიმდინარეობსო. როცა ამ საქმეს მოვრჩები ჩემსა და ჩემი ძმის (ე. ი. იოანე III) დუშმანს მტრობას არ მოვაკლებ შესაძლებლობის ფარგლებშიო.

ყირიმის ხანმა ციხე-სიმაგრე მართლა ააგო დნებრის შავი ზღვის შესართავიდან დასავლეთ უბანზე, რომელიც შემდეგ ოჩაკოვის ციხე-სიმაგრედ იყო ცნობილი. თავზარდამცემი ამბავი იყო ლიტვა-პოლონეთის მთავრობისათვის ოჩაკოვის აგება. ლიტვა-პოლონეთი შავი ზღვის ნაპირებს სამუდამოდ კარგავდა. თურქეთისა და ყირიმის რკალი შავ ზღვას თითქმის ყოველი მხრიდან გარს ევლებოდა. ლიტვა-პოლონეთის მეფე ჯერ კაზიმირი, ხოლო მისი გარდაცვლისთანავე (1492 წ.) ალექსანდრე კაზიმირის ძე საგანგებო ელჩობას გზავნის ყირიმში. ლიტვა-პოლონეთის ელჩს, ივანე გლინსკის, დავალებული ჰქონდა დაეჯერებინა და დაემშვიდებინა ყირიმის ხანი ისე, რომ დნებრის ქვემო დინების მიდამოებში ციხე-სიმაგრის მშენებლობა მიეტოვებინა. პოლონეთი აღუთქვამდა ყირიმელ ხანს ციხის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას¹.

ფუჭი გამოდგა ყირიმის ხანთან დამეგობრების ცდები, ყი-

¹ პოლონეთის, თურქეთისა და ყირიმის დამოკიდებულების შესახებ ცნობები იხ. К. В. Базилевич, Внешняя политика русского централизованного государства..., 1952, გვ 239—246.

რიმის ხანი ამხელად მოსკოვის მთავრისაგან ღებულობდა უფრო მეტი ღირებულების „მოსაკითხს“, მოხერხებულად სარგებლობდა ლიტვა-პოლონეთისა და მოსკოვის სამთავროს შორის არსებულ წინააღმდეგობებით და ახლა რაკი ყირიმელ თათრებს დაპყრობების თავი არ ჰქონდათ, ძველი მონღოლეთის ეს მემკვიდრეები, მეზობლებზე მძარცველობითი თარეშების მოწყობის ხელობას დადგომოდნენ და პარაზიტივით არსებობას განაგრძობდნენ.

პოლონეთის ელჩი ახლად აგებულ ოჩაკოვის ციხეში ჩაამწყვდია ყირიმის ხანმა. მდინარე დუნაის, დნესტრისა და დნეპრის აუზებში პოლიტიკური წინააღმდეგობის რთული კვანძი გაინასკვა. თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნა ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია მე-15 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული¹.

დნეპრის გზა ევროპისაკენ მე-15 საუკუნის მიწურულში საფრთხეშია. ამ გზით მიმოსვლა ქართველებისათვის იმაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ წელს რა განწყობილება აქვს ყირიმის ხანს ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან და თვით ქართველ ხელისუფლებთან. საგანგებო საჩუქრები, რა თქმა უნდა, გზას უხსნიდა ქართველ დესპანებს ყირიმის სამფლობელოში, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელი კაზაკობა ადვილად როდი უთმობდა დნეპრის გზას ყირიმელებს. ამრიგად, მე-15 საუკუნის უკანასკნელ წლებში საქართველოსათვის ევროპაში გასავლელი გზები არსებითად დაიხშო, მაგრამ მდინარე დნეპრი, ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული, მაინც ერთადერთი უმოკლესი გზა რჩებოდა დასავლეთით გასასვლელი. შემთხვევით არ არის კონსტანტინე მეფის წერილში აღნიშნული, რომ ყველაფერს ვერ ვწერ, რადგანაც ესპანეთისაკენ მომავალ გზაზე მრავალ მტერიაო: «того ради что суть на пути врази мнози, как ведомо царствию твоему, что всегда мучимы есьмо от безбожных...».

¹ პოლონეთის, თურქეთისა და ყირიმის დამოკიდებულების შესახებ იხ. В. Базилович. Внешняя политика..., გვ. 239—246.
მ. ი. ცინცაძე

შეიძლო თუ არა ქართველ ელჩს 1495 წელს დნებრის გზის გარეშე ესპანეთში მისულიყო? 1492 წლის ფაქტი ნათელს ხდის, რომ შემახა-ბაქო-დარუბანდი-ოქროს ურდო-ასტრახანი-ვოლგით მოსკოვამდე კახეთის მეფის ელჩს გაუვლია, ხოლო მოსკოვიდან ლიტვა-პოლონეთით დასავლეთ ევროპაში გამგზავრება ძნელი აღარ იყო. მაგრამ კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონი და ესპანელი სტუმრები ამ გზით არ უნდა წასულიყვნენ ევროპაში. ჩვენ ვიცით, რომ ამ გზას უკეთეს შემთხვევაში ოთხი თვე სჭირდებოდა მოსკოვამდე. აქ უნდა გამოეზამთრათ და მხოლოდ მეორე წლის გაზაფხულზე (უფრო ზაფხულში) განეგრძოთ გზა. ვატიკანის არქივში დაცული საბუთებიდან ახლა ჩვენ ვიცით, რომ კონსტანტინე მეფის ელჩი, 1496 წლის ივლისში, ესპანეთში ყოფნის შემდეგ, რომიდან ბრუნდება საქ-შობლოში. მას პაპის სარეკომენდაციო ბარათს და საპასუხო წერილს 1496 წლის 5 ივნის-ივლისის თარიღით აძლევს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ქართველი დესპანი 1495 წელს საქართველოდან გაზაფხულზე გამგზავრებული ესპანეთში ამავე წელს მივიდა, იქიდან კი რომში გადმოვიდა და 1496 წელს (ივლისში) სამშობლოში ბრუნდება. ცხადია, ელჩები რუსეთის გზით არ წასულან ესპანეთში.

იყო მესამე გზა, რომლითაც ქართველ ელჩს და ესპანელ სტუმრებს საქართველოდან ესპანეთში შეიძლებოდა ემგზავრათ. ეს უნდა იყოს ის გზა, საიდანაც კირ-ნილოს მღვდელ-მონაზონი და ესპანელი დესპანები მოვიდნენ საქართველოში: საქართველოდან იერუსალიმამდე, ხოლო იერუსალიმიდან ხმელთაშუა ზღვით ესპანეთამდე. ჩვენ რომ კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანი პოლონეთში არ გვეპოვნა და მხოლოდ ესპანეთის არქივში დაცული კონსტანტინეს წერილის დედანი აღმოგვეჩინა, შეიძლება არც კი დაგვეწყო საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გასასვლელი გზების ძიება. კონსტანტინე მეფის წერილის შინაარსის მიხედვით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ელჩების მარშ-რუტს იერუსალიმის მიმართულებით და ხმელთაშუა ზღვით ვივარაუდებდით, ე. ი. რა გზითაც მოვიდნენ საქართველოში იმავე გზით დაბრუნებულად ჩავთვლიდით. მაგრამ, როგორც

ჩანს, საქართველოდან ქართველი და უცხოელი დესპანები შავი ზღვით და დნებრით, ლიტვა-პოლონეთის გავლით წასულან ევროპაში.

მანც რატომ უნდა ამოერჩიათ საქართველოში დნებრისა და ლიტვა-პოლონეთის გზა? კონსტანტინე მეფის წერილიდან აშკარა არის, რომ ქართველი და ესპანელი ელჩები, როცა იერუსალიმიდან თბილისში მოდიოდნენ, თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნის მიზანშეწონილებაზე შეთანხმებული იყვნენ. ეგვიპტის სულთანთან საქმე უკვე გამორკვეული იყო. ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მე-15 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან თვით იყო ინიციატორი თურქეთის მოწინააღმდეგეების ერთ კავშირში გაერთიანებისა. ეტყობა, საქართველოში თვალყურს ადევნებდნენ თურქეთის დაპყრობებს. ამ მხრივ საინტერესოა, როგორ კარგად ყოფილა ინფორმირებული ქართველი მეფე კონსტანტინე, თუ რა ხდებოდა იმ დროის მსოფლიოში: «...где тая слава, честь, что имяша христиане... где светлый и славный великий Костянтин рад... где Трапезонское царство и Аморийское, Якийское и Егрипоское? и где Сербская земля? и где суть иные земли?» სხვარიგად არც შეიძლება ყოფილიყო, სახელმწიფო რაკი ჰქონდათ ქართველებს, საქართველოს გარშემო მიმდინარე პროცესებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ და ქვეყნის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებები უნდა გამოენახათ. სახელმწიფო, რომელიც ამ საქმეებს თავს ვერ გაართმევდა, იღუპებოდა, რასაც ზოგჯერ თვით ხალხის გადაგვარება და გადაშენება მოყვებოდა.

ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს არსებობა და მისი ადგილი მე-15 საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის ფონზე ქართველი დიპლომატებისათვის არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო.

პოლონეთის სახელმწიფო X საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბდა და აქედან მოკიდებული იგი დიპლომატიურსა და სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფებოდა გერმანიის იმპერიასთან, ჩეხეთთან, უნგრეთთან, შვედეთთან, რუსეთთან და სხვა მეზო-

ბელ პოლიტიკურ ერთეულებთან. მაგრამ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება ჩვენ პოლონეთის სახელმწიფოს საქართველოს სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ, სანამ პოლონეთისა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანება არ მოხდა. ამ ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის გაერთიანება გერმანელი დამპყრობლების საფრთხემ განაპირობა.

პოლონეთმა მთელი მე-14 საუკუნე დაძაბულ მდგომარეობაში გაატარა. გერმანელების ტევტონელთა ორდენი, ერთი უძლიერესი აგრესიული ორგანიზაციათაგანი იყო მაშინდელ ევროპაში და სრული განადგურებითა და დამონებით ემუქრებოდა პოლონეთს.

1384 წელს პოლონეთის გაბატონებულმა წრეებმა პოლონეთის სამეფო ტახტზე, მეფე ლუი ანუჟელის ასული, იადვიგა აიყვანეს მეფე-დედოფლად. პოლონეთის მმართველი წრეები დარწმუნდნენ, რომ ძალთა გაერთიანების გარეშე გერმანელების შემოტევებს ვეღარ გაუძლებდნენ და პოლონეთის დედოფლის, იადვიგას, ლიტვის დიდ მთავართან იაგაილოსთან შეუღლება გადაწყვიტეს. ლიტვის სამთავროს მმართველ წრეებთან მოლაპარაკებამ ნათელყო, რომ ლიტვაც გერმანელების მოსალოდნელი შემოტევებით საგონებელში იყო ჩავარდნილი.

ლიტვა XIV—XV საუკუნეებისათვის არსებითად რუსული დიდი სამთავრო იყო. აქ შემოდრიოდა (მონღოლთა გაბატონების შემდეგ) ძველი რუსული სამთავროები, პოლოცკის, სმოლენსკის, მინსკის, გალიჩ-ვოლინის, ჩერნიგოვის, კიევისა და სხვა წვრილი სამთავროები. ერთხანად საკითხი ისე იდგა, რომ დაქუცმაცებული რუსეთი ან ლიტვის დიდი სამთავროს გარშემო შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ანდა მოსკოვის გარშემო. ამ ნიადაგზე ლიტვისა და მოსკოვის სამთავროს შორის ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობდა.

1385 წელს ქალაქ კრევში ლიტვა-პოლონეთის უნიის ხელშეკრულება დაიდო. დიდი მთავარი იაგაილო პოლონეთის მეფედ ეკურთხა და ახლა ტახტზე ვლადისლავ II-ეს სახელწოდებით დაჯდა. პოლონელი მემამულეები ამ აქტით ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიების შეერთებასაც გეგმავდნენ. 1401 წელს, ლიტველი ფეოდალების მოთხოვნით, კრევის ხელშეკ-

რულებამი ერთგვარი ცვლილებები იქნა შეტანილი. ამ შესწორებით ლიტვის სახელმწიფოებრიობა არ ისპობოდა უნიის ფარგლებში. ამ გზით ლიტვისა და პოლონეთის ძალთა გაერთიანებამ 1410 წელს გერმანელების ორდენტან, გრიუნვალდის გენერალურ ბრძოლაში, ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს სრული გამარჯვება უზრუნველყო. ამ ისტორიულ აქტში ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ის ფაქტი, რომ ლიტვასთან გაერთიანებით პოლონეთი შავ ზღვაზე გამოსვლას ახერხებდა და შავი ზღვის საქართველოსეულ ნაპირებს უკავშირდებოდა.

პოლონელი მეცნიერის, მარიან მალოვისტის, გამოკვლევებიდან ჩანს (იხ. მისი „კაფა გენუელების კოლონია ყირიმში და აღმოსავლეთის საკითხი 1453—1475 წლებში“. ვარშავა. 1947, პოლონურ ენაზე¹), რომ პოლონეთ ლიტვის სახელმწიფო ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებულ გენუის კოლონიების მეოხებით, აღმოსავლეთის ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც უკავშირდებოდა. გენუელები კაფა-თეოდოსიით და ე. წ. სებასტოპოლი-სოხუმით ამიერკავკასიასა და სპარსეთს წვდებოდნენ. თეოდოსიიდან სოხუმში მარული მიჰქონდათ, ხოლო სოხუმიდან ყირიმის გზით ევროპაში ტყვე ადამიანები გაჰყავდათ. გენუელ ვაჭარს თეოდოსიიდან დასავლეთ ევროპისაკენ ორი გზა ჰქონდა მე-15 საუკუნეში (ორმოცდაათიან წლებში) ერთი პოლონეთზე გაივლიდა, მეორე უნგრეთზე. ამ უკანასკნელი გზის შესახებ ჩვენ საუბარი ზემოთ გვქონდა.

პოლონეთზე გამავალი ერთი მნიშვნელოვანი გზა ყირიმიდან მიემართებოდა მდ. სერედით (დნესტრის შენაკადია) ჩერნოვიცა-სნიატინი (ანუ შნიატენი), აქედან კოლომეა-გალიჩი-ლვოვი, კრაკოვი და ვროცლავი. შემდეგ კი გზები გერმანია, ავსტრიისა და იტალიისაკენ მიემართებოდა. გენუელები ამ გზით ყირიმიდან ბალტიის ზღვაზედაც გადიოდნენ. გენუელი ვაჭ-

¹ მარიან მალოვისტი. კაფა-გენუელების კოლონია ყირიმში და აღმოსავლეთის საკითხი 1453—1475 წწ., ვარშავა. 1947, პოლონურ ენაზე, გვ. 62. ამ ნაშრომის გამოყენება გავვიადვილა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის თანამშრომელმა ამხ. სტანისლავ რავიჩმა. ამ დახმარებისათვის უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

რებისათვის პოლონეთის სახელმწიფოს და მოლდავეთს უმთავრესად ტრანზიტის მნიშვნელობა ჰქონია.

პოლონეთის გზაზე ვაჭრობა უმთავრესად სომხების ხელთ ყოფილა. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ თეოდოსელი ვაჭრები ლვოვში პრუსიელ ვაჭრებს ელოდებოდნენ და მათ აღმოსავლეთიდან გამოტანილ საქონელს აწვდიდნენ. ეს ცნობები მეთოთხმეტე საუკუნის სურათს ასახავს, აღმოსავლეთიდან ლვოვის გზით გაყვანილი ტყვეების შესახებ უტყუარი ცნობები მე-15 საუკუნისათვის გვაქვს დაცული. დაცული არის უტყუარი ცნობა იმის შესახებაც, რომ 1474 წელს ვაჭარს ჯიან-ნოტო ლომელინოს საქართველოდან ტყვე ქართველი ქალები და ბავშვები ქალაქ ლვოვში მიუყვანია. უეჭველი ცნობებია აგრეთვე დაცული პოლონელი ვაჭრების კაფამდე (თეოდოსიამდე) მოგზაურობის შესახებ მე-15 საუკუნეში. პოლონელებს ყირიმში ვხედავთ აგრეთვე გენუელების სამსახურში — უმთავრესად ჯარისკაცებად¹.

ქართველებს ლიტვის დიდ სამთავროს ტერიტორიაზე გასასვლელი გზაც ჰქონიათ მე-15—17 საუკუნეებში. ეს გზა შავი ზღვით, მდ. დნეპრით, კიევზე გავლით მიემართებოდა. ქართველ მოგზაურს შეეძლო უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიების მოვლა საჭირო შემთხვევაში. საქართველოდან კიევში მიმავალი გზა მე-12 საუკუნისათვის ჩვენ რუსული მატიანის ცნობებითაც გვაქვს დადგენილი. როგორც ჩანს, ეს გზა მონღოლების გაბატონების შემდეგაც ცოცხალი ყოფილა (ამ გზის შესახებ იხ. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X—XVI სს., 1956 წ., გვ. 189—202). შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ბელადის და მთელი ტომის საქართველოში გადასახლების შესახებ ცნობა ვოლინელმა მემატიანემ შემოგვინახა. ვოლინის სამთავრო შავი ზღვის გზით საქართველოში მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებდა. ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს არქივში ქართველი მეფის წერილის თარგმანის აღმოჩენა სრულიადაც უცნაურ მოვლენად არ გვე-

¹ მ ა რ ი ა ნ მ ა ლ ო ვ ი ს ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—80.

სახება ახლა. ჩართველი და ესპანელი ელჩები ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოზე გავლით მისულან ესპანეთში. მაგრამ ჩართველი დესპანის პირველად პოლონეთის სახელმწიფოში მისვლა გამოწვეული უნდა იყოს არა მარტო ევროპაში გასასვლელი გზის ძიებით. საქართველოში ამ დროს უდავოდ იციან ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს დამოკიდებულება თურქეთთან და ჩართველ დიპლომატს პოლონეთის სამეფო კართან თურქეთის შესახებ მოლაპარაკება უნდა ჰქონოდა დავალებული. ლიტვა-პოლონეთის მეფის მისამართით რომ ჩართველი მეფის წერილი არ ჩანს, ეს სრულიადაც არ გამოირიცხავს სიტყვიერი დავალების ფაქტს. ელჩს არა მარტო წერილები მიჰქონდა, არამედ საიდუმლო სიტყვიერი დავალებაც.

ჩართველ ელჩს ლიტვა-პოლონეთის მაშინდელი მეფისათვის, ალექსანდრესათვის, თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შედგენის გეგმა რომ გაუცვნია და ამ საკითხზე პოლონეთში თათბირი ყოფილა, ამის დამამტკიცებელია კონსტანტინე ქართლის მეფის ესპანელ იზაბელა დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანის შეტანა „მეტრიკის წიგნში“. „მეტრიკაში“ მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიმოწერის ტექსტები შეჰქონდათ, რომელნიც სახელმწიფოს საბჭოზე განიხილებოდა. ე. წ. „ლიტვის მეტრიკა“ მიმდინარე საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების ამსახველი დოკუმენტების ტექსტებს ინახავდა. როგორც ჩანს, ჩართველმა და ესპანელმა ელჩებმა, ლიტვა-პოლონეთის მთავრობას კონსტანტინეს მიერ იზაბელასადმი მიწერილი წერილი ტექსტუალურად გააცვენეს, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოებისათვის საერთო საქმის დოკუმენტი. ამდენად ამ წერილის ტექსტი ლიტვა-პოლონეთის ხელისუფლებამ „მეტრიკაში“ შეიტანა. ✠

✠ მაგრამ რატომ არის კონსტანტინე ქართლის მეფის წერილი რუსულ ენაზე თარგმნილი? ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ XIV—XV საუკუნეების ლიტვის დიდი სამთავრო სანახევროდ რუსული პოლიტიკური ერთეული იყო. ლიტვის დიდი მთავრის კანცელარია უმეტესად რუსულ ენაზე ადგენდა და გასცემდა საბუთებს. თვით „ლიტვის მეტრიკის“ წიგნების უბრალო გადათვალიერებაც ცხადყოფს ამას. იქ სა-

ბუთების ტექსტების დიდი უმრავლესობა იმდროინდელ რუსულ ენაზეა დაწერილი. მართალია, „ლიტვის მეტრიკაში“ დაცული რუსული საბუთების ტექსტების ენას თავისებურება ახასიათებს, იგი მოსკოვური საბუთების ენისაგან ცოტა განსხვავებულია, მაგრამ ძირითადად მაინც შუა საუკუნეების რუსული ენაა ისიც. *

ჩადგანაც ლიტვა-პოლონეთისა და საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტანტინე ქართლის მეფის ესპანეთის დედოფლისადმი, იზაბელასადმი, გაგზავნილ წერილს, ჩვენ შედარებით დაწვრილებით მიმოვიხილეთ მისი ვითარება. ამასთანავე, ამ წერილის ფოტოპირს, ტექსტს და ქართულ თარგმანსაც აქვე ვბეჭდავთ. პოლონეთის საარქივო სამმართველოს უფროსმა ჰენრიხ ალტმანმა რაკი დახმარება აღგვითქვა, ჩვენ გვინდოდა კონსტანტინეს ესპანეთში გაგზავნილი წერილის დედნის ფოტოპირიც მოგვეპოვებინა. შევეცადეთ პოლონეთის უმაღლესი განათლების სამინისტროს ფინანსიური შემწეობით ესპანეთის ცენტრალურ არქივში კონსტანტინეს წერილი მოეძებნათ. სამწუხაროდ, ორი თვის ძიება უშედეგოდ დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში არქივები ძველიდანვე კარგად დაცული ყოფილა. პატივცემულმა ჰენრიხ ალტმანმა დიდი პატივი დაგვძლევდა და პორტუგალიაში არქივმცოდნეების ყრილობაზე თავისი ესპანელი მეგობრები ინახულა და კონსტანტინე ქართლის მეფის წერილის დედნის ძებნა დაავალა, მაგრამ ჯერჯერობით იგი ვერ აღმოაჩინეს.

რა დასკვნა შეგვიძლია ჩვენ გამოვიტანოთ მე-15 საუკუნის მასალების მიმოხილვიდან? პოლონეთის სახელმწიფო მას შემდეგ დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფოს, როცა ლიტვის დიდი სამთავრო გაერთიანდა პოლონეთთან და უნია ჩამოყალიბდა. ლიტვის სამფლობელოების პოლონეთის სამეფოსთან გაერთიანებით პოლონეთი შავ ზღვაზე გამოვიდა. შავი ზღვის გზით საქართველო ლიტვაზე გავლით პოლონეთის სამეფო კართან დაკავშირებას ახერხებს. კონსტანტინე ქართლის მეფის ელჩი, ესპანელი დედოფლის ელჩების თანხლებით, ლიტვა-პოლონეთის გზით გადადის დასავლეთ ევროპაში — ესპა-

ნეთსა და რომში. მე-15 საუკუნეში, თურქეთის შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონების შემდეგ, თურქთა ძალმომრეობის სა-
შიშროების წარმოშობამ, ქართველი პოლიტიკოსები ლიტვა-
პოლონეთის სახელმწიფოს თურქეთის მოწინააღმდეგე პოლი-
ტიკურ ერთეულად თვლიან და, თურქეთის საწინააღმდეგე
კოალიციის შექმნის დროს, პოლონეთის მეფეს თავიანთ გეგ-
მას აცნობენ. ქართველი მეფის, კონსტანტინეს, ესპანეთის
დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანის „ლიტვის
მეტრიკაში“ შეტანა ამის დამამტკიცებელია. მაშასადამე, ლიტ-
ვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან საქართველოს დიპლომატი-
ური ურთიერთობის შესახებ უძველესი ცნობა 1495 წელს
ეკუთვნის.

ცნობები XVI—XVII სს. ისტორიისათვის

ძირითადი მიზეზი, რომელმაც საქართველოსა და ლიტვა-
პოლონეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური ურთიერთობა
განაპირობა უცვლელი რჩებოდა მე-16 საუკუნისათვის, მაგ-
რამ ჯერჯერობით არავითარი დოკუმენტური ცნობა აღმოჩენი-
ლი არ არის საქართველოს ლიტვა-პოლონეთთან ურთიერთო-
ბის შესახებ. მხოლოდ გრიგოლ დე-ვოლანს ერთგან აღნიშ-
ნული აქვს, რომ მე-16 საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსე-
თის მძიმე საგარეო მდგომარეობით ლიტვა-პოლონეთის მე-
ფეს, სტეფანე ბატორს, უნდოდა ესარგებლა და რუსეთის სა-
ხელმწიფოს ხელში ჩაგდება მოიწადინაო. იგი წერს: «Прежде
всех поднялся Баторий, который считал момент удоб-
ным, чтобы привести в исполнение свои широкие планы,
овладеть Москвою, подать руку грузинам, черкесам,
персам и окружить турак железным кольцом. Папа
Сикст V даже дал ему для этого субсидию в 25.000 чер-
вонцев»¹.

სტეფანე ბატორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეა
მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტვა-პოლონეთში. იგი წა-
რმოშობით უნგრელი იყო ტრანსილვანიიდან, „სემიგრადის“

¹ Григорий Де-Волян. История общественных и револю-
ционных движений. В связи с культурным развитием русского го-
сударства. Часть первая, том 1, 1913, გვ. 199.

მთავარი, დიდი სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული. პოლონეთში არსებული წესით, ლიტვა-პოლონეთის დიდებულთა ყრილობამ სტეფანე ბატორი მეფედ აირჩია 1575 წელს. მან შეძლო რუსეთის მოწინააღმდეგე ძალთა გაერთიანება და ცნობილ ლივონიის ომში რუსეთის დამარცხება. 1582 წელს, რაკი ორივე მეომარი მხარე ხანგრძლივი ომით მოქანცული იყო, ღროებითი ზავი დაიდო. ამ ზავის პირობებით ლიტვა-პოლონეთის ხელში გადადიოდა ლივონია, პოლოცკი, ველიჟი, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი ნარვა და კოპორიე. ბატორიც ერთგვარ დათმობაზე წავიდა და სხვა დაპყრობილი ქალაქები ველიკიე ლუკის ჩათვლით რუსეთს დაუბრუნდა. თავისთავადაც ცხადია, რუსეთს საბოლოოდ ამ პირობებზე დათანხმება არ შეეძლო, მან დაკარგა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი ადგილები და თუ საზავო პირობებზე ხელი მაინც მოაწერა, ეს იმიტომ, რომ ბრძოლაში მარცხი განიცადა.

სტეფანე ბატორის მდგომარეობა ამ გამარჯვებამ განამტკიცა, ბატორი ახლა შლიახტაზე დაყრდნობით და კათოლიკური ეკლესიის ხელის შეწყობით ლიტვა-პოლონეთის მაგნატობის თავაშეებულობის შეზღუდვას ახერხებს. ყველაზე უფრო ურჩების სიკვდილის დასჯასაც მიაღწია. პოლონეთის მეფე რუსეთთან ახალი ომისათვის მზადებას შეუდგა. ეს სამზადისი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა იოანე V გარდაცვალების შემდეგ. პოლონეთის მმართველ წრეებში რუსეთის სახელმწიფოს მთლიანად დამორჩილების შესახებ გეგმების დამუშავება დაიწყო. ასეთი მისწრაფება რუსეთის ტახტზე მომხდარმა ცვლილებამ განაპირობა.

ცნობილია, რომ იოანე IV შემდეგ ტახტი სუსტგონება თევდორემ დაიკავა. ლიტვა-პოლონეთის ელჩი საპეგა, სტეფანე ბატორს რუსეთიდან ატყობინებდა: „დიდი მთავარი (თევდორე ივანეს ძე) ტანით პატარაა... გონება მცირე აქვს, ან, როგორც სხვები ამბობენ და მეც შევნიშნე, სულ არ აქვს. როცა მას მე წარვუდექი, იგი მეფის ტანსაცმელში და სამკაულებით მორთული ტახტზე იჯდა, უცქეროდა სკიპტრას და იცინოდა. დიდებულთა შორის ქიშპი და მტრობაა განუწყვეტელი... მეფეს კი ამისი აღკვეთა არ შეუძლია; თათრები თავ-

დასხმით ემუქრებოან (რუსეთს), ხმა დადის აგრეთვე, რომ შვედეთი ჯარს აგროვებს. მაგრამ აქ (რუსეთში) არავისი ისე არ ეშინიათ, როგორც ჩვენი ხელმწიფის... პირველი ადგილის მქონე ბოიარი თავადი მსტისლავსკი პოლონეთის მეფის მომხრეა... და თუ ნიკიტა რომანოვი გარდაიცვალა... ბოიართა შორის ბევრი იქნება ჩვენი მეფის მხარდამჭერიო“¹.

რუსეთის ამ უბედურ მეფეს, როგორც დეგენერატს, უმემკვიდრეოდ გადაშენებას უწინასწარმეტყველებდნენ, ამაზე უნდა დამთავრებულიყო მოსკოველ რიურიკელთა ნაშიერების დინასტია. პოლონეთში იმედოვნებდნენ, თევდორე მალე გარდაიცვლებოდა. ლიტვა-პოლონეთისა და რუსეთის სახელმწიფოების გაერთიანების იმედი ამიტომ აღეძრათ. რუსეთი პოლონეთს უნდა შეერთებოდა.

მოსკოვში საგანგებო ელჩი გარაბურდა ბოიარებთან მოსალაპარაკებლად მიავლინა სტეფანე ბატორმა (თავის კარისკაცებთან შეთანხმებით). გარაბურდა რუსეთის ბოიარებს თხოვდა, მოლაპარაკება გაემართათ და სათანადო პირობები შეემუშავებინათ სუსტგონება თევდორეს გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სტეფანე ბატორს რა უფლებით ემეფა ლიტვა-პოლონეთთან გაერთიანებულ რუსეთში, და თუ სტეფანე ბატორი გარდაიცვლებოდა ადრე, პირიქით, თევდორე მეფის (ლიტვა-პოლონეთში) უფლებები უნდა განსაზღვრულიყო. თევდორე სასურველი კანდიდატურა ყოფილა პოლონელი და ლიტველი მაგნატების ერთი ნაწილისათვის, რომელთაც სტეფანე ბატორმა თვითნებობა შეუზღუდა. ლიტვა-პოლონეთში იმედოვნებდნენ, ამ გზით უბრძოლველად მდიდარ რუსეთის შემოერთებას. თანამოაზრენი იმედოვნებდნენ, რომ თევდორე უფრო ადრე გარდაიცვლებოდა².

სტეფანე ბატორის წინადადებაზე ელჩს უარით უპასუხეს იმ მოტივით, რომ ცოცხალ მეფეების გარდაცვალებაზე მოლაპარაკება და გეგმების შედგენა უხერხულიაო. მაგრამ სტ. ბატორი იმედს არ კარგავდა და რუსეთის ხელში ჩაგდებას ახ-

¹ С. М. Соловьев, История России с древнейших времен. Кн. II. СПб, гв. 551.

² იქვე, გვ. 557.

ლო მომავლის საქმედ მიიჩნევდა. შლიახტაც მხარს უჭერდა იგი რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა. ცნობილია, რომ პოლონეთის მეფის რწმუნებულები ვენეციაში ვენაში, ესპანეთსა და სპარსეთში თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შესადგენად მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ახლად არჩეული რომის პაპი სიკსტ V ბატორის გეგმებმა ისე გაიტაცა, რომ მან იმ დროისათვის მნიშვნელოვანი თანხა მიუბოძა ბატორს, მაგრამ პოლონეთის მეფის გეგმები მალე არქივს ჩაბარდა.¹ 1586 წლის მიწურულში სტეფანე ბატორი გარდაიცვალა და პოლონეთში უმეფობის პერიოდი დაიწყო. მაგნატებისა და შლიახტის დაჯგუფებანი შინა წინააღმდეგობაში ჩაებნენ და ახალი მეფის არჩევისათვის იბრძოდნენ.

აქ მოტანილ ისტორიულ ცნობებში ჩვენ ყურადღებას სტეფანე ბატორის მიერ თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციაში ქართველების ჩაბმის გეგმა იპყრობს. ქართველები რომ თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციებში მონაწილეობის მისაღებად იმ დროს მზად იყვნენ, ამის შესახებ ჩვენ არა ერთი ცნობა გვაქვს დაცული. ქართველი პოლიტიკოსები თვალყურს ადევნებდნენ რა ხდებოდა და როგორ ჯგუფდებოდა პოლიტიკური ძალები იმდროინდელ მსოფლიოში. მე-16 საუკუნის ოთხმოციან წლებში კახეთის სამეფოში მყოფ რუსეთის ელჩებს ალექსანდრე II თავისი კარისკაცების პირით აუწყებდა, რომ კახეთის მეფეს მსოფლიოში მიმდინარე ამბების შესახებ ზუსტი ცნობები აქვს და გვინდა ეს ამბები თქვენც იცოდეთო. აქვე ქართველი დიპლომატები რუსეთის ელჩებს სადაზვერვო საქმის საიდუმლოებასაც ანდობენ: «Из Царя-города и изо Фрянок торговые люди ко мне ездят, а мои люди торговые во Царьгород и во Фрянки ездят; а иное и яз посылаю для вестей будто с торгом на Гиляне да на Казбин и во Царьгород и во Фрянки»². ასეთი გზით ალექსანდრე კახთა მეფეს დასავლეთ ევროპის სახელმ-

¹ История Польши. Под редакцией В. Д. Королюка, И. С. Миллера, П. Н. Третьякова. Изд. Акад. Н. СССР. Москва, 1954, том 1, 23-221.

² С. Белокуров. Снош. Росс. с Кавк., 33 205.

წიფოების ანტიოსმალური კავშირების არსებობის შესახებ არა ერთი საყურადღებო ცნობა მიუღია. რუსეთის ელჩებთან ამის შესახებ საგანგებო საუბარი აქვს და ეკითხება მათ — შეუძლია თუ არა დასავლეთ ევროპის ჯარებს დარუბანდის მხარეზე მოსვლა და ბრძოლაო: «А тем государем крестьянским королю Шпанскому и Цысеру крестьянскому (ე. ი. ავსტრიის იმპერატორს) и папе Римскому и Фрянком мочно ли на Дербен прийти и сколь далеки их государьства от Дербени?»¹.

ალექსანდრე მეფეს განზრახული ჰქონია ევროპაში საგანგებო შიკრიკის წერილებით გაგზავნა და რუსეთის ელჩებს თხოვდა ეს შიკრიკი რუსეთის გზით გაეტარებინათ ესპანეთის, საფრანგეთის და ავსტრიის მეფეებთან, აგრეთვე რომის პაპთან. რადგანაც სხვა გზით წერილების გაგზავნა თურქეთის შიშით ვერ გამიბედიო. წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართველ მეფეს ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთანაც დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სურდა. და თუ ქართველი მეფე, რუსეთის ელჩებთან ლიტვა-პოლონეთს არ ახსენებს საფიქრებელია, იმიტომ, რომ საქართველოში რუსეთისა და ლიტვა-პოლონეთის მაშინდელი მტრული დამოკიდებულება და ხანგრძლივი ომების შესახებ ინფორმაცია მიღებული ჰქონდათ. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე თავისი შიკრიკის ევროპაში გაგზავნის მიზანდასახულებას ასე აცნობს რუსეთის ელჩს: «И ныне яз хочю послати к папе Римскому и к королю Ишпанскому и к Цысеру крестьянскому от себя з грамотами того же армянина, хочю себя объявити, что яз под великого государя рукою...»².

როგორც ვხედავთ, შიკრიკის ევროპაში გაგზავნა ალექსანდრე კახთა მეფეს ვითომც იმისათვის ესაჭიროება, რომ ევროპას კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა აუწყოს. არ გვჯერა ჩვენ, რომ ალექსანდრე II მხოლოდ ამიტომ

¹ С. Белокуров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

² იქვე, გვ. 205.

გზავნიდა შიკრიკს და წერილებს ევროპაში. არც რუსეთის ელჩებს დაუჭერებიათ ეს და აკი კატეგორიული უარი განუცხადეს ამ თხოვნაზე კახთა მეფეს, იმ მოტივით, რომ ევროპის სახელმწიფოებს ვითომ რუსეთის მეფემ უკვე აუწყა კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებაო. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ რუსეთის მფარველობაში მყოფი კახთა მეფე მაინც ევროპისაკენ იცქირება და თავისი ქვეყნის თურქთა ძალმომრეობისაგან ხსნას იქიდან მოელის მაინც. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა მისი იდეალია.

ასეთ ვითარებაში სტეფანე ბატორის გეგმას, რა თქმა უნდა, სიხარულით უნდა გამომხაურებოდა მთელი საქართველო, მაგრამ რამდენად მართალია ცნობა, რომ სტეფანე ბატორის გეგმებში საქართველოსთან კავშირის დამყარებაც შედიოდა?

ზემოთ ჩვენ მოტანილი გვქონდა გრ. დე-ვოლანის თხზულებიდან ადგილი, რომელშიაც საქართველოსა და ჩერქეზეთზე გარკვევით იყო საუბარი. დე-ვოლანს, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ბატორის გეგმების შესახებ ცნობა ამოუღია პ. პირლინგის ნაშრომიდან *La Russe et le Sant-Siège* (რუსეთი და წმ. ტახტი, ე. ი. კათოლიკური ეკლესიის ტახტი). ამ თხზულების მეორე ტომში ერთგან აღნიშნულია, რომ პოლონეთის მეფის სტეფანე ბატორის განკარგულებით ლუბლინში მოწვეული იყო სენატორების კრება, რომელსაც რუსეთში ელჩად მყოფი პოსევინიც ესწრებოდა. სტეფანე ბატორი მოუთმენლად ელოდებოდა თურმე პოსევინის რუსეთიდან დაბრუნებას, რათა მას რუსეთში მიმდინარე მოლაპარაკების შედეგები ეუწყებინა სენატორებისა და მეფისათვის. პოსევინის გადმოცემით, სტეფანე ბატორს მისთვის გაუზიარებია აზრები, რომელნიც მას ამ დროს აღელვებდნენ: „იგი ოცნებობდა მოსკოვის დაპყრობაზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა (მას) თურქეთი გაესრისა და ხელთ ჩაეგდო (ყოფილი) ბიზანტია... პოლონეთის მეფეს უკვე წარმოდგენილი ჰქონდა თავისი თავი საუკეთესო ტიტულის მფლობელად და მას არ უნდოდა, რომ (დაუძლურებული რუსეთის ხელში ჩაგდება, — ი. ც.) სხვა ვინმეს დაესწრო. სამი წლის განმავლობაში იგი ოცნებობდა მოსკოვია (რუსეთი, — ი. ც.) დაეპყრო, გამარჯვებული ხელი

ქართველებისათვის, ჩერქეზებისათვის და სპარსელებისათვის გაეწოდებინა, თურქებს რკინისა და ცეცხლის ალყით გარს შემორტყმოდა ხოლო ამის შემდეგ მთელი ძალების დაძაბვა საკმარისი იქნებოდა, ეგონა, ბოსფორის ნაპირებზე პოლონეთის დროშის აღსამართავად¹.

სტეფანე ბატორის გეგმების შესახებ საუბარი ყოფილა პოსევინის წერილებში. სტეფანე ბატორს რომ ამ თავისი გეგმის რეალიზაციის მიზნით სათანადო ნაბიჯები გადაუდგამს და ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალურ გეგმებზე მოლაპარაკება უწარმოებია, ამის შესახებ ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა და აღარ გავიმეორებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სპარსეთში ესპანეთის ელჩი ანტიოსმალური კოალიციის შედგენაზე მოსალაპარაკებლად რომ ნამდვილად იმყოფებოდა 1586—7 წლებში, ასეთი ცნობა 1587 წელს კახეთში მყოფ რუსეთის ელჩებს. სპარსეთიდან გამოსულმა ერთმა ტყვე (კიეველმა) ლიტველმა „ფილიპკო ანდრიას ძემ“ შეატყობინა. ეს „ფილიპკო“ ერთ დროს თურქებს ჩავარდნია ტყვედ და, როცა თურქეთი ქართლის მეფეს, სიმონს, 1586-7 წლებში ებრძოდა, „ფილიპკო ლიტველი“ ამ ომში მონაწილეობას იღებდა, მაგრამ როგორღაც ქართლიდან თურქებს გაქცევია და სპარსეთში შეუფარებია თავი. სპარსეთიდან კახეთში გადმოსულა, იქ მყოფი რუსეთის ელჩები უნახავს და მათთვის, თავის თავგადასავალთან ერთად შემდეგი ცნობაც მიუწოდებია «и в то же время пришли к шаху к Абасу от Ишпанского короля послы Филип Дренф с товарищы, а с ним четыреста человек, о миру и о ссылке и стояти бы им на Турского заодно... А с Ишпанского короля послы договоряся и укрепился на том, что им стояти на Турского за один; и отпустил их с великою честью и своих послов с ними к Ишпанскому королю послал»². არ ჩანს, მოასწრო თუ არა სტეფანე ბატორმა, ან მისი დავალებით რომის პაპმა, საქართველოში

¹ Le P. Pierling. La Russie et le Saint-Siege. Etudes diplomatiques... II, Paris, 1897, გვ. 253.

² С. Белокуров. დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

ელჩის გამოგზავნა და ქართველ მფლობელებთან ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე მოლაპარაკება. ერთი რამ მაინც ცხადია, საქართველოს შესახებ ევროპის სახელმწიფოებს სრული ინფორმაცია აქვთ, როგორც ანტიოსმალურ პოლიტიკურ ერთეულზე. ეს ინფორმაცია პოლონეთის სახელმწიფოში მე-16 საუკუნის ოთხმოციან წლებშიაც ჰქონიათ.

მართალია, ლიტვა-პოლონეთის სამეფოდან მე-16 საუკუნეში საგანგებოდ საქართველოში, ქართველ ხელისუფლებთან გამოგზავნილი ელჩი წყაროებში არ ჩანს, მაგრამ პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III (ვაზას) მიერ სპარსეთში გამოგზავნილი სომეხი „სეფერ მურატოვიჩი“ 1601-2 წლებში საქართველოზე გავლით აღწევს სპარსეთამდე. „სეფერ მურატოვიჩის“ მოგზაურობის აღწერილობა გამოცემულია და მას საინტერესო ცნობები აქვს მოცემული. ამ ნაშრომის მეოხებით ჩვენ ვეცნობით იმ გზას, რომელიც მე-16 საუკუნის მიწურულში პოლონეთიდან საქართველოზე მოდიოდა.

სეფერი ვაჭარი სომეხია, რომელიც ლიტვა-პოლონეთის მეფის სასახლეს ძვირფას ნივთებს და საქონელს აწვდის. მან აღმოსავლური ენები იცის, მაგრამ მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პოლონეთის სახელმწიფოა. მას დავალებული აქვს 1601 წელს სპარსეთში იყიდოს ცხენები, ძვირფასი ქვები, ხალიჩები, ნოხები, კარვები და იარაღი, განსაკუთრებით ხმლები. იგი წერს, რომ მან ქაშანში პოლონეთის მეფისათვის აბრეშუმითა და ოქრომკედით მოქსოვილი ნოხები შეუკვეთა, აგრეთვე კარავი და ფოლადის ხმლებიო. სეფერი ვარშავიდან ლვოვში მოსულა, აქედან ვლახეთით მდ. დუნაი გადაულახავს და თურქეთის ქალაქ „მანგალიაში“ მისულა (შავი ზღვის ნაპირას). აქ ხომალდი დაუქირავებია და 1601 წლის პირველ აპრილს ტრაპეზუნდისაკენ წამოსულა და მაისის ბოლოს მიულწევია. შემხვედრი ქარები აბრკოლებდნენ თურმე გზაში. ტრაპეზუნდიდან ერზერუმში მივიდა, 16 დღე მოუნდა ამ გზას. ერზერუმიდან 12 დღის განმავლობაში ყარსამდე მიაღწია. აქ სეფერი შენიშნავს, რომ ყოველგვარი საფრთხიდან თავის დასაღწევად ვამჯობინე ქრისტიანების ქვეყანაზე გადავსულიყა-

ვიო და კურსი გიორგიელების მეფის, ალექსანდრეს, სამფლობელოზე ავიღე და ქალაქ გრემში მივედიო. ყარსიდან გრემამდე 10 დღე დამჭირდაო. გრემიდან ერევანში წასულა და 15 დღე მონდომებია ამას. ერევნიდან მდ. არეზზე გადასულა და ჯულფა გაუვლია, სადაც მაშინ 15 ათასი სომხის ოჯახი ბინადრობდა თურმე და მიუღწევია ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ თავრიზამდე. აქედან ყაზვინამდე ოცი დღე უვლია, ყაზვინიდან ქაშანამდე — 15 დღე.

სეფერის მიერ აღწერილი გზა უმოკლესი გზა უნდა იყოს ვარშავიდან სპარსეთამდე. როგორც ამავე სეფერის რელაციიდან ჩანს, პოლონეთიდან სპარსეთში მეორე გზითაც მოდიოდნენ — რუსეთზე გამოვლით მოსკოვამდე, მოსკოვიდან ნიჟნი ნოვგოროდით და ვოლგით ასტრახანამდე — კასპიის ზღვით შემახამდე და ასე შემდეგ. რუსეთზე მომავალი გზაც არ ყოფილა მთლად უშიშარი. „სეფერ მურატოვიჩის“ მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ აბას-შაჰის დავალებით რუსეთის გზით პოლონეთში მიმავალ ირანელ ელჩს ბორის გოდუნოვი დაბრკოლებებს უქმნიდა. არ შეეცდებოდა ჩვენ თუ ვარაუდს გაწვევთ და ვიტყვით, რომ პოლონეთის სახელმწიფოს შესახებ ცნობები „სეფერ მურატოვიჩისა“ და მის მსგავს მოგზაურებს მოჰქონდათ საქართველოში და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ინფორმირებული უნდა ყოფილიყვნენ მაშინდელი ევროპის პოლიტიკურ დაჯგუფებებში ლიტვა-პოლონეთის ადგილის შესახებ.

ჩვენ ხელთ არსებულ XV—XVI საუკუნეების ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ ლიტვა-პოლონეთი და საქართველო, შავი ზღვის გზით, ეპიზოდურად მაინც დიპლომატიურ ურთიერთობას ახერხებდნენ. ეს ურთიერთობა ხსენებულ საუკუნეებში: თურქეთის საშიშროების პრობლემით არის გაპირობებული. მე-17 საუკუნეში მდგომარეობა, შედარებით წინანდელთან, შეცვლილა, საქართველოსა და პოლონეთს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობა მოჩანს. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობას დიდად შეუწყო ხელი უკრაინამ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკრაინელი კაზაკობის როლი ამ საქმეში.

როგორც ცნობილია, კაზაკი ძველ რუსულ ენაში ბატონ-
ყმობის უღლისაგან გაქცეულ გლეხს ეწოდებოდა საერთოდ.
ასეთი გლეხები რუსეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუ-
სიასა და უკრაინაში თვალსაჩინოდ XV საუკუნის შემდეგ გამ-
რავლდა. ბატონყმობით შევიწროებული გლეხები, უმთავრე-
სად, სამხრეთით, ყირიმელი თათრების მეზობელ განაპირა რა-
იონებში გამორბოდნენ. აქ მთავრობის ადმინისტრაცია მათ
დასაჭერად და ისევ ყმობის უღელში შესაბამელად ვერ მოწვ-
დებოდა. ტყეებით დაბურული მდინარეების ხეობებში კაზა-
კები თავს მოხერხებულად იფარავდნენ და თევზის ჭერით, ნა-
დროობით და თურქულ-თათრული მოსახლეობის ძარცვა-რბე-
ვით ირჩენდნენ თავს პირველ ხანებში. დროთა ვითარებაში,
ასეთი ბატონყმობის უღლიდან გამოქცეული გლეხების ახალ-
შენები წარმოიშვა დნებრის, დონის და რუსეთის სხვა სამხრე-
თის მდინარეთა აუზებში.

ამ გლეხობამ შემდეგში თავისებური, „კაზაკური“, საზოგა-
დობრივი წყობა და მმართველობის ორგანიზაცია ჩამოაყა-
ლიბა. ცენტრალური ხელისუფლება და მემამულეები ყველ-
გან როგორც რუსეთში, ისე ლიტვასა და პოლონეთში, გლე-
ხების ასეთი თავისუფალი ახალშენების არსებობის წინააღმ-
დეგი იყვნენ იმთავითვე; მაგრამ, რადგანაც გლეხების ამ თა-
ვისუფალი თემების დამორჩილება არ ხერხდებოდა, უმჯობე-
სად მიიჩნიეს მათ არსებობას შერიგებოდნენ და კაზაკები
თავისუფალ მმართველობასთან ურთიერთობაც დაამყარეს.

„ზოგი ჭირი სასარგებლოც“ აღმოჩნდა რუსეთისა და ლი-
ტვა-პოლონეთის მთავრობებისათვის. კაზაკური მოსახლეობა,
თავისი უშიშარი და გაბედული თარეშებით, თურქებს და თა-
თრებს გასაქანს არ აძლევდნენ, კაზაკებმა შეძლეს ყირიმელა,
ასტრახანელი და ნოღაელი თათრების შებოჭვა. მე-16 საუკუ-
ნეში კაზაკობაში სოციალურად დიფერენცირებული მოსახ-
ლეობა ჩამოყალიბდა, წარმოიშვა კაზაკობის შეძლებული და
ლარიბი ფენები. რუსეთის და ლიტვა-პოლონეთის მთავრობე-
ბი კაზაკობის მდიდარ ფენებთან ამყარებენ ურთიერთობას,
მათ საერთო ენა ადვილად გამონახეს.

უკრაინაში, მე-16 საუკუნის შუა წლებიდან, მდინარე

დნებრის ჯორომებს გაღმა, წარმოიქმნა კაზაკების გამაგრებული ხაზი „ზაპოროჟსკაია სეჩ“. ამ ხაზზე დაყრდნობით უკრაინელი კაზაკობა თავს იცავდა. მე-16 საუკუნის მიწურულში უკრაინელი კაზაკობის ცენტრი ჯერ დნებრის კუნძულზე, ტომაკოვკაზე იყო, ხოლო შემდეგ კუნძულ ბაზავლუჟზე.

დნებრელი კაზაკობა მალე შეტევაზე გადავიდა და შიშის ზარი დასცა ყირიმელი თათრებისა და თურქეთის ზღვისპირა ციხე-ქალაქებს. კაზაკები არაჩვეულებრივი მეომრები ყოფილან. ერთი ფრანგი ინჟინერი, რომელიც პოლონეთის სამსახურში ყოფილა, კაზაკების ცხოვრებას აღწერს და აღნიშნავს, რომ 100 კაზაკი თავისუფლად უმკლავდებოდა 1000 კაცისაგან შემდგარ თათართა რაზმსო. კაზაკებს კარგად ჩამოყალიბებული სამხედრო წყობა და დისციპლინა ჰქონიათ ისინი შესანიშნავი მეზღვაურებიც ყოფილან, არაერთხელ თურქეთის სამხედრო ფლოტისათვის. შავი ღღე გაუთენებიათ.

მე-16 საუკუნის ბოლოს ბატონყმობის უღლიდან გამოქცეულ გლეხთა რიცხვი დიდი სისწრაფით იზრდება. დნებრის ჯორომებს იქითა გამაგრებული ხაზი არა მარტო თათრებისა და თურქების აგრესიის საწინააღმდეგო საყრდენი შეიქმნა, იგი მალე უკრაინელი ხალხის სამხედრო ცენტრად ჩამოყალიბდა და პოლონეთის მემამულე-აზნაურთა უკრაინაში ბატონობის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების თაოსნობა იკისრა.

მე-17 საუკუნის პირველი ათეული წლებიდან უკრაინის კაზაკობამ თურქებისა და ყირიმელი თათრების რკალი გამოარღვია შავ ზღვამდე. შავი ღღე გაუთენეს ყირიმელ თათრებს. ზღვისპირა ქალაქები გაძარცვეს და დიდი ნადავლით უკან დაბრუნდნენ. თურქეთის სატახტო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, დიდი შეშფოთება გამოიწვია ამ ამბის ვაგებად.

თურქეთის ხელისუფლებამ მაშინვე, კონსტანტინოპოლში მყოფ ლიტვა-პოლონეთის მეფის ელჩს, ანდრია გორსკის, შეჩივლა, რომ პოლონეთის ქვეშევრდომი კაზაკები სულთანის ხელქვეით მყოფ სამფლობელოებს არბევნო. ანდრია გორსკის პასუხს ასე გადმოგვცემს იმდროინდელი წყარო: «Эти козаки — разбойническое скопище, составленное из разных народов; никто не разберет, какого они племе-

ნი, — кто русин, кто москвитянин, кто волошин, а кто и поляк; они привыкли бесчинствовать, когда им случай откроется, и не слушают ни короля, ни Речи-Политой. Если вы их истребите, с нашей стороны не будет никакого неудовольствия»¹.

თურქეთის მთავრობამ რუმელიის ბეგლარბეგს უბრძანა კაზაკებისათვის დასაბრუნებელი გზა დნებრთან გადაეჭრა და ისინი ამოეულიტა. მაგრამ კაზაკებმა შეძლეს თურქეთის მეზღვაურთა შეცდომაში შეყვანა. დამით თავს დაესხნენ თურქეთის გემებს, ექვსი გალერი განაიარაღეს, ხოლო რამოდენიმე მცირე გემი ჩასძირეს. მეორე წელს, დნებრელმა კაზაკებმა თავიანთი ნავებით შავი ზღვა გადასერეს და თავს დაესხნენ ზინოპს. კაზაკებმა შეძლეს ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება, გარნიზონი აჩეხეს, გაძარცვეს არსენალი და ნავსადგურის მცხოვრებნი, ამოჟლიტეს მაჰმადიანები, გაათავისუფლეს ტყვე ქრისტიანები და სრულიად დაუსჯელად წავიდნენ. შეუპოვებელი ცნობებით 40 მილიონის ზარალი ნახეს თურქებმა.

კონსტანტინოპოლს თავზარი დასცა ამ ამბის გაგებამ. სულთანმა თავისი დიდი ვეზირის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ ცოლმა და შვილმა გამოთხოვა წყალობა — ვეზირს სიკვდილი ცემით შეუცვალეს. 1616 წელს კაზაკების რაზმი, გეტმან პეტრე საგაიდაჩის მეთაურობით, ამარცხებს თურქეთის ფლოტს, კაზაკებმა ხელთ იგდეს თურქეთის გემების და ნავების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ყირიმის ნაპირებისაკენ გაემართნენ, დაანგრიეს და დასწვეს კაფა. ეს ქალაქი ხომ ქრისტიანი ტყვეების ბაზრად იყო ცნობილი შავ ზღვაზე და შავი ზღვის ნაპირების ქრისტიანულ მოსახლეობას სძაგდა იგი. ყირიმის სანაპიროებიდან კაზაკები ტრაპეზუნდისაკენ გაემართნენ, გაძარცვეს ქალაქი, სასტიკად დაამარცხეს აქ მყოფი სამხედრო ფლოტი. ამხანად დიდი ვეზირი თავისი „ფადიშაჰის“ რისხვას ვერ გადაურჩა, სულთანმა ის

¹ Н. Костомаров, Исторические монографии и исследования, кн. IV, 1904, гл. 44.

დაახრჩობინა. კაზაკები ახლა თვით კონსტანტინოპოლის მიდამოებს „ესტუმრენ“ და მთელი მიდამოები აიკლეს. თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა დიდძალი ლაშქრით უკრაინაში შექრა, კაზაკების ამოკლეთა და მათ ადგილას მაჰმადიანების დასახლება. პოლონეთის ხელისუფლებამ ამჯობინა საქმის მოლაპარაკებით დამთავრება და თურქეთის ხელისუფლებას კაზაკების თავდასხმების ალაგმვა აღუთქვა. არა ერთხელ დაისაჯა კაზაკობა თურქეთისა და ყირიმის სანაპიროების ძარცვის გამო, არა ერთხელ პირობა მისცეს კაზაკებმა ლიტვა-პოლონეთის ხელისუფლებას თარეშების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში არაფერი გამოვიდა.

როდესაც პოლონეთს სხვა გარემოების გამო თურქეთთან ურთიერთობა გაურთულდა და საქმე ომამდე მივიდა, კაზაკებს საშუალება მიეცათ თურქეთის სანაპიროებზე ელაშქრათ, აქაო და „ჩვენს მთავრობას ვეხმარებით ომშიო“, თურქეთის კუთვნილი შავი ზღვის ევროპული ნაწილი შეიძლება ითქვას, გაანადგურეს. 1620 წელს უმდიდრესი ქალაქი ვარნა აიღეს. ამავე წელს ქ. ხოტინთან თურქები სასტიკად დაამარცხეს¹.

თურქეთის სამხედრო ფლოტი იძულებული შეიქნა ათეული წლების მანძილზე საბრძოლო მდგომარეობაში ყოფილიყო. დნეპრელი კაზაკობა ისეთი ანგარიშგასაწევი ძალა შეიქნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაება და საგრძნობი წონაც ჰქონდა ბალკანეთის ხალხების, თურქეთის, ყირიმის, პოლონეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. დნეპრელი კაზაკობის მიერ შექმნილი თავისებური სამხედრო და ადმინისტრაციული აპარატი, არჩევნების პრინციპებზე აგებული, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სრული დემოკრატიული წესწყობილების შექმნა მოახერხა დნეპრელმა კაზაკობამ. უკრაინელი კაზაკობისათვის კლასიური განფენები ისევე დამახასიათებელი იყო, როგორც დონელ კაზაკობაში. უკრაინაშიაც მდიდარი კაზაკ-

¹ კაზაკების თურქეთსა და ყირიმზე თავდასხმის შესახებ ცნობები ამოკრეფილია ნ. კოსტომაროვის დასახელებული ნაშრომიდან, იხ. გვ. 40—60.

შის და გურიის მთავრებს, სამთავროები შავი ზღვის პირად აქვთ და ამიტომ მათ უფრო მისწვდებიან თურქის ჯარები. მაგრამ სამაგიეროდ ეს მდგომარეობა (ზღვისპირა ტერიტორიებს რომ ფლობენ დადიანი და გურიელი, — ი. ც.) მათთვის ძლიერ სასარგებლოც რჩება. იმათ (გურიელის და დადიანის ქვეშევრდომებს, — ი. ც.) დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინოპოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმისა და სხვა რამეებისა. ისინი აღნიშნავენ, რომ არავითარ ზარალს (და დანაშაულს) არ ხედავენ იმაში, რომ მათ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ თურქებთან, რომ სიმშვიდე და მოსვენებული ცხოვრება უნდა იყიდონ საჩუქრებით და სამუდამო მორჩილებით. თუმცა ისინი თურქებს მაინც ნებას არ აძლევენ იმათ ქვეყნებში შემოვიდნენ არამც თუ საბატონოდ, არამედ თურქეთის ჯარების მათ ტერიტორიაზე სხვა მხარეში გასატარებლადაც კი. თითქმის იქამდე დაიცვენ საკუთარი თავისუფლება (დამოუკიდებლობა), რომ პოლონეთის კაზაკებს, რომელნიც დნებრის შავ ზღვასთან შესართავზე ცხოვრობენ, დიდის სიყვარულით იღებენ თავიანთ ქვეყნებში, როგორც ქრისტიანებს, მიუხედავად იმისა, რომ კაზაკები თურქების დიდი მტრები არიან და დიდ ზარალს აყენებდნენ და ახლაც აყენებენ მათ. როგორც მეგავიგონე, ეს ორი ხალხი (კაზაკები და ქართველები), ემოყვრებიან ერთმანეთს. თვით პოლონეთის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (გურიელთან და დადიანთან, — ი. ც.) მეგობრობა და მიმორწერა აქვს. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიან. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველების სასარგებლოდ, რადგანაც კა-

ზაკები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი. პოლონეთის ხელმწიფეს ამ გზით (შავი ზღვის გზით, — ი. ც.), რომელიც ძალიან მოკლეა, შეუძლია კიდევ დიდი დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს ყოველთვის, გაჭირვების დროს, რომელიც მათ სპარსელებისაგან და თურქებისაგან მოელით. ქართველებს კი, თავის მხრივ, მათი ნავსადგურებით და უშიშარი თავშესაფარი ადგილებით, რომელიც ზღვის ნაპირებზე აქვთ, შეუძლიათ დიდი დახმარება აღმოუჩინონ კახაკებმა მათ საქმეებში. ამ მხრივ ქართველები ჩვენებისთვისაც (იტალიელებისთვისაც, — ი. ც.) ძლიერ სასარგებლონი იქნებიან, თუ ჩვენ რაიმე დიდი საქმე წამოვიწყეთ ზღვით ან ხმელეთით თურქეთის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ. რაც შეეხება იმერეთის მეფეს, ის არც თურქებისაგან და არც სპარსელებისაგან დამოკიდებული არ არის, რადგანაც მისი სამეფო, როგორც ზევით ვთქვით, უფრო შუაგულ ქვეყანაშია, თურქებზე და სპარსელებზე მოშორებულია და ყოვლის მხრით მთებით და მდინარეებით არის გამაგრებული. თუმცა (ისიც უნდა ვთქვათ, რომ) იმერეთის მეფე გარეგნულად, თურქეთსა და სპარსეთსაც თავს მეგობრად უჩვენებს, გულით კი არც ერთს ენდობა და არც მეორეს, და არც ერთის ჯარს თავის ქვეყანაში არ უშვებს¹.

პეტრო დელა-ვალეს, თავის აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობის აღწერილობაში, საგანგებოდ აქვს საუბარი დნებრელი კახაკობისა და პოლონეთის მეფის ქართველებთან ურთიერთობის შესახებ. იგი წერს: „კარგად არ ვიცი რომელმა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ დადიანმა თუ გურიელმა, კოლხეთის ორი სხვადასხვა ნაწილის მფლობელებმა (ქრისტიანებმა), კახაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს, აგრეთვე ოქ-

¹ ეურნალი „ივერია“, 1899, № 3, მოგზაურის პეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. გვ. 56—57. ი. ჭყონიას თარგმანი იტალიურიდან (ხაზგასმა ჩვენი — ი. ცინცაძე).

როს პატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები. და ისინიც (კაზაკები, — ი. ც.) არა ერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობაც დახვედრიათ აქ. კაზაკები ამ ფლობელების (გურიელისა და დადიანის. — ი. ც.) სავაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდრიოდნენ.

ამ პრინცმა (გურიელმა თუ დადიანმა) მისწერა კაზაკებს, თუ თვით კაზაკებმა მოიფიქრეს ამის თქმა მეძნელება, მაგრამ ის ნამდვილია, რომ კაზაკებმა სპარსეთთან შეთანხმება განიზრახეს. მათ კი სპარსეთში მისვლა შეეძლოთ მხოლოდ ამ პრინციების სამფლობელოს მეშვეობით. ეს იცოდნენ კაზაკებმა და მათ ზღვით ორი ათასი კაციისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნეს. კაზაკების განზრახვა იყო დახმარება შეეთავაზებინათ სპარსეთის მეფისათვის იმ ომში, რომელსაც ეს მეფე (სპარსეთის შაჰი, — ი. ც.), თურქეთის წინააღმდეგ გეგმავდა, იმ ვარაუდით, რომ ისინი მიიღებდნენ ნადავლს და უფლება ექნებოდათ გაეძარცვათ ყველა ის ქალაქი, რომელსაც ისინი აიღებდნენ.

კაზაკების კარგმა (სამხედრო) წყობამ თავზარი დასცა მანკობელ ქვეყნებს, მაგრამ კაზაკები დარწმუნებული არ იყვნენ, თუ მათ სპარსეთის არაქრისტიანი მეფე მიენდობოდა. მათ სჭირდებოდათ ინფორმაცია ამ მეფის (სპარსეთის შაჰის) მზადყოფნაზე, რომ კაზაკებთან შეთანხმება დაედოთ. ამიტომ კაზაკებმა გადაწყვიტეს კოლხეთის სანაპიროზე 40 კაცი გადმოესხათ. ყველაზე უფრო გაბეული და კეთილშობილი ხასიათისა. ამ ორმოც კაცს დაავალეს — კარგად დაკვირვებოდნენ გზას და თუ შესაძლო აღმოჩნდებოდა სპარსეთის მეფის კარზე წასულიყვნენ და მოლაპარაკება გაემართათ ამ მეფესთან. და თუ ეს მეფე თანხმობას განაცხადებდა, ეს 40 კაცი უნდა დაბრუნებულიყო სასწრაფოდ უკან, ან შეეტყობინებინათ კაზაკებისათვის ეს სასიხარულო ამბავი, რის შემდეგაც ეს 2000 კაცი სპარსეთში წავიდოდა და სპარსეთის მეფის დროშის ქვეშ იბრძოლებდა.

ამ ორმოცმა კაცმა გამოიყენა გურიის თუ სამეგრელოს

მდინარეები და ამავე მთავარმა (გურიელმა თუ დადიანმა) მათ რეკომენდაცია მისცა იმერეთის მეფესთან. იმერეთის მეფემ კაზაკები მიიღო და ძალიან კარგადაც მოეპყრო მათ. გაიყო რა მათგან მათი მოსვლის მიზანი, ურჩია მათ, უშუალოდ სპარსეთს არ წასულიყვნენ და არც აჩქარებულყვნენ, რჩევა მისცა აგრეთვე, რომ ერთი კაცი გაეგზავნათ, რომელსაც რწმუნების ქალაქს გაატანდნენ. 39 კაზაკი იმერეთში დარჩა. ხოლო ამათ მოციქულად წარვლენილ იქნა სტეფანე, წარმოშობით პოლონელი, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი, რომელმაც მშობლიური ენის გარდა, რუსული ენაც იცოდა. სტეფანე პირველად თბილისში უნდა მისულიყო. ამჟამად თბილისს, ისევე როგორც იბერიის დიდ ნაწილს, ანუ მთელ ქართლს, ვინმე ბაგრატ მირზა განაგებდა. ბაგრატ მირზა აბსოლუტური ძალაუფლების მპყრობელი არ არის, თავის წინაპრებისაგან განსხვავებით, რომელნიც ოდესღაც ნამდვილი თვითმპყრობელნი იყვნენ. ბაგრატ მირზა სპარსეთის მეფისაგან არის დამოკიდებული. სპარსეთის მეფემ მცირე ხანია — სულ რამოდენიმე წელი, რაც ის მმართველად გახადა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე დღესაც სპარსეთის ტყვეობაში იმყოფება, სპარსეთის მეფემ მას უსამართლოდ წაართვა ტახტი. ბაგრატ მირზას უშუალოდ მისწერა წერილი იმერეთის მეფემ და არა სპარსეთის მეფეს. ამ წერილში აღნიშნული იყო სტეფანე კაზაკის წარმოშობა, სადაურობა და მისი მოგზაურობის მიზანი.

იმერეთის მეფემ უშუალოდ სპარსეთის მეფეს იმიტომ არ მიმართა წერილით, ჩემი ღრმა რწმენით, რომ ის სპარსეთის მეფის ფარული მტერი არის, თუმცა გარეგნულად თავს მეგობრად აჩვენებს. იმერეთის მეფის სპარსეთის შაჰისადმი მტრობის მიზეზი ის არის, რომ იმერეთის მეფე ნათესავი და მომხრეც არის თეიმურაზ-ხანის, ქართველი პრინცის, რომელსაც კახეთი და აგრეთვე სხვა ქვეყნებიც ემორჩილება (ზედმიწევნით არ ვიცი რა ქვეყნები), სახელდობრ — იბერიის დანარჩენი ნაწილი და ალბანეთის საკმაოდ დიდი ნაჭერი. ასე თუ ისე, ეს სტეფანე კაზაკი თბილისში ბაგრატ მირზასთან მიავლინეს. ბაგრატ მირზამ დაუყოვნებლივ გაგზავნა სპარსე-

თის კარზე და თან გაატანა სარეკომენდაციო წერილები, აგრეთვე გააყოლა დამცველი რაზმი, შედგენილი თავის მსახურთაგან. ბაგრატ მირზამ წერილით აუწყა სპარსეთის მეფეს — ვინც იყო ეს მოციქული, რაში მდგომარეობდა მისი ელჩობის დანიშნულება (საგანი), რა მოტივები და განზრახვები ჰქონდათ კაზაკებს და, ყველაფერი, რაც ამ საქმეს შეეხებოდა. ეს კაზაკები, როგორც მოგახსენეთ, მრავალი დღით ჩემზე უფრო გვიან მოვიდა ფერაბადში, სადაც მაშინ სპარსეთის მეფის კარი იმყოფებოდა. სპარსეთის მეფემ, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო ბაგრატ მირზასაგან ამ ელჩობის შესახებ, ეს კაზაკი ძალიან გულთბილად და ალერსიანად მიიღო. მაგრამ ამ კაზაკმა ადგილობრივი ენა არ იცოდა. არც თარჯიმანი ჰყავდა და შაჰს თავისი ელჩობის მიზნები და მიზეზები ვერ მოუთხრო, მხოლოდ მისალმებაზე უპასუხა. სპარსეთის მეფემაც ვერაფერი უპასუხა. ეს კაზაკი კი, მან, „ეფენდერ ბეგს“ მიანდო. ეს წარჩინებული თანამდებობაა („ეფენდერ-ბეგობა“, — ი. ც.) ახლა სპარსეთის კარზე დიდი პატივით სარგებლობს ამ თანამდებობის პირი. ამას დავალა ამ კაზაკზე ზრუნვა — უნდა მოპყრობოდა მას, როგორც სტუმარს. შაჰმა პასუხი მისწერა ბაგრატ მირზას ამ ელჩობის გამო და იგი იმ ხალხის ხელით გაუგზავნა, რომელნიც კაზაკ სტეფანეს მოჰყვნენ თბილისიდან სპარსეთში (ბაგრატის დავალებით). სხვათა შორის, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შაჰი ბაგრატს სწერდა ეზრუნა იმერეთში მყოფ კაზაკებზე, მთელი შესაძლებელი ალერსიანობით მოპყრობოდა ამ კაზაკებს.

ამას გარდა (შაჰი) სწერდა, რომ, როგორც კი სტეფანე კაზაკისაგან ელჩობის დანიშნულებას შეიტყობს ის (შაჰი), იმერეთში მყოფ კაზაკებს (39 კაზაკს, — ი. ც.) გაუგზავნის (კაცს) და თხოვს მათ სპარსეთში ჩასვლას და ილონებს ყოველივეს, რაც მიზანშეწონილი (გონივრული) იქნება.

მაგრამ კაზაკი ფერაბადში ყოფნის დროს ძალიან უკმაყოფილო ჩანდა, რადგანაც მან არ იცოდა რა ბედი ეწია მის საქმეს... ყველაზე უფრო ამ კაზაკს (სტეფანეს) ის ადარდებდა, რომ იმერეთში დარჩენილ კაზაკებს ის დაკარგულად არ

ჩაეთვალათ, როცა მას დათქმულ ვადაზე დაბრუნებულს ვერ ნახავდნენ. ამასთანავე შიშობდა იმერეთში დარჩენილი კაზაკები სამშობლოში არ წასულიყვნენ და იგი ამ შორეულ ქვეყანაში ბედის ამარა არ მიეტოვებინათ.

სწორედ იმ დროს, როცა მისი დარდი უმაღლეს წერტილამდე იყო ასული, მას შეატყობინეს, რომ მე ფერაბაღში ვიმყოფებოდი. გაიგო თუ არა, რომ მე, კათოლიკე, იქ ვიყავი, მან მის მხსნელ ანგელოზად დამსახა და დაუყოვნებლივ ჩემთან გამოცხადდა. ჩემთან მან თარჯიმანი იპოვა (მე რომ შემსახურებოდა), რომელმაც თურქულ, სპარსულ, სომხურ და ფრანგულ ენებს გარდა, ცოტა მოსკოვურიც იცოდა... ამ ჩემი თარჯიმანის მეოხებით ჩვენ რამდენიმე ხნის განმავლობაში ერთმანეთს ვესაუბრეთ. კაზაკმა თავისი საქმეები დაწვრილებით მიაგმო, მეც ჩემი ვუამბე და მისთვის სამსახურის გაწევა ვიკისრე. მან მე მთხოვა მისი ხალხის, ასე ვთქვათ, კონსულის მაგვარი ვყოფილიყავი სპარსეთის კართან. მე დავპირდი, რომ მის საქმეებს, პირველსავე შემთხვევის დროს, გავაცნობდი სპარსეთის მინისტრებს. 13 მარტს, იმ დღეს, როცა მე კაზაკთან საუბარი მქონდა, ჩემთან ტოხტა ბეგი შემოვიდა. ამ დროს კაზაკი ჩემს ოთახში იყო. მე ვუამბე ტოხტა ბეგს ამ კაზაკის ელჩობის მიზანი და ავუხსენი დიდი სარგებლობა, რომელიც კაზაკებს შეეძლოთ სპარსეთისათვის მოეტანათ. ტოხტა ბეგი დამპირდა, რომ ყოველივეს შაჰს მოახსენებდა. მან დაპირება მართლაც შეასრულა. ეს შემდეგიდან ჩანს: ერთ დღეს შაჰს კაზაკმა შუა ქუჩაში საჩივარი მიართვა. აქ პასუხის მიუღებლობის გამო მისი მოუთმენლობა ეწერა და აგრეთვე აღნიშნული იყო ეფენდერ ბეგის გულგრილი მოპყრობა მის მიმართ. შაჰმა ეს საჩივარი გამოართვა კაზაკს, არ წაუკითხავს ის, დაუძახა ეფენდერ ბეგს და სხვა წარჩინებულთ, რომლებიც იმას ახლდნენ და თავის ჩვეულებისამებრ, მათ ხმამაღლა მიმართა: თქვენ არ იცით ამ ხალხის ღირსება (ე. ი. კაზაკების, — ი. ც.), მათი მამაცობა და არც ის გაგეგებათ, თუ როგორ უნდა მოეპყროთ მათ. იცოდეთ რომ ესენი არიან ის ხალხი, რომელიც შავ ზღვაზე ბატონობს და რომლებიც ამ ზღვას დაეპატრონენ კიდევ. მათ აიღეს ამდენი ქალაქი და ამდენი უბედურება დამართეს თურქებს.

მათ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოგვიტანონ და დიდი სამსახურიც გაგვიწიონ ჩვენ. შემდეგ შაჰმა მათ იმ სიტყვებით მიმართა, რომელიც მე ტოხტა ბეგისათვის მქონდა ნათქვამი და განუცხადა მათ, რომ მას (შაჰს, — ი. ც.) კაზაკების სამსახურით ესარგებლა სურდა. მხლებლებს, განსაკუთრებით ეფენდერ ბეგს, მიუთითა ღვინო არ მოეკლოთ კაზაკისათვის; რადგან იცოდა, რომ კაზაკს ღვინისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. შაჰმა ბრძანა მისი სახელით კაზაკისათვის 5 თუმანი (ე. ო. 50 სეკიუნი) და აგრეთვე დიდი საჩუქარი მიეცათ. მაგრამ ახლა შევწყვიტოთ კაზაკებზე საუბარი, მათ შესახებ ჩვენ სხვაგან ვილაპარაკებთ“.¹

პიეტრო დელა-ვალეს თანხულებიდან და მოხსენებითი ბარათიდან ჩვენ განზრახ მოვიტანეთ აქ ვრცელი ამონაწერები. ამ მასალებიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სახელმწიფოს საზღვრებში მყოფი უკრაინელი კაზაკების შავ ზღვაზე გაბედული გამოსვლები და თურქეთის წინააღმდეგ მათი ბრძოლები არ გამოპარვიათ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ცნობა, კაზაკებთან დადიანისა და გურიელის მოლაპარაკების, საჩუქრების („ოქროს პატარა ჯვრების“) გაგზავნისა და საქართველოს კუთვნილი შავი ზღვის სანაპიროების საჭირო შემთხვევაში თავის შესაფარებლად შეთავაზების შესახებ, იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ შავ ზღვაზე გამოსული ახალი ძალა, საქართველოსათვის სასარგებლო მოვლენად იყო შეფასებული, როგორც ანტი-თურქული ძლიერი მოკავშირე. მე-17 საუკუნის თურქეთის მოწინააღმდეგე კაზაკებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და ფარული სამხედრო კავშირი არც ისე მარტივად გასაბედავი საქმე იყო ქართველი მფლობელების მხრივ.

ამ გარემოებას თვით პიეტრო დელა-ვალეც ყურადღებას აქცევს და რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში საგანგებოდ წერს, რომ იმდენად დამოუკიდებლად გრძობენ თავს გურიელი და დადიანი, რომ თურქეთის მოწინააღმ-

¹ იხ. ი. ცინცაძე, უკრაინის და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. 1954 წ.

დეგე კაზაკების თავიანთ ხავსადგურებში მიღებას ბედავენ და ენათესავებიან კიდეც ერთმანეთსო. რა თქმა უნდა, ქართველებისა და კაზაკების მეგობრობა თურქებს არ შეიძლებოდა შეუშინეველი დარჩენოდათ. პიეტრო დელა-ვალეს გონია, რომ ქართველებმა დამოუკიდებლობა ისე შეინარჩუნეს, რომ თურქებს არ ეპუებიან და კაზაკებს ემეგობრებიანო. არ არის საფიქრებელი, რომ დასავლეთი საქართველო დამოუკიდებლად გრძნობდა თავს. კაზაკებთან ურთიერთობის დროს ალბათ ქართველ მფლობელებს თურქეთის წინაშე თავის მართლების ისეთივე საშუალებისათვის უნდა მიემართათ, როგორც ამას ჩვეულებრივ მოსკოვის და ლიტვა-პოლონეთის ხელისუფლება აკეთებდა თურქეთსა და ყირიმის სახანოსთან მოლაპარაკების დროს.

რუსეთისა და ლიტვა-პოლონეთის ხელისუფალნი კაზაკების თარეშების გამო პასუხისმგებლობაზე უარს აცხადებენ — კაზაკები არავის არ ემორჩილებიან, ჩვენ თვით ვებრძვით, ვერ დაგვიმორჩილებია და თუ თქვენ ალაგმავთ მადლობელი დაგრჩებითო. სინამდვილეში კაზაკების თარეშებთათრებისა და თურქების წინააღმდეგ სასიამოვნო მოვლენა იყო როგორც მოსკოვის სახელმწიფოსათვის, ისე ლიტვა-პოლონეთისათვის. ამ თარეშების გამო კაზაკებს თავიანთ ხელისუფალთაგან ჯამაგირიც მიუღიათ.

ქართველი მფლობელებიც. საჭირო შემთხვევაში, თურქეთის ხელისუფლების წინაშე კაზაკებთან ურთიერთობას კაზაკების ძალმომრეობით ხსნიდნენ, თავის მართლების ასეთი არგუმენტაციისათვის ქართველ პოლიტიკოსებს სხვა დროსაც მიუმართავთ.

მაგრამ პიეტრო დელა-ვალეს ზემოთ მოტანილი ცნობები ქართველი მფლობელებისა, დნებრელი კაზაკობისა და ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ, არა მარტო სამხედრო კავშირს შეეხება. 1627 წლის რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში, როგორც ვნახეთ, ერთგან აღნიშნულია: „თვითონ პოლონეთის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (გურიელთან და დედინთან) მიმოწერა და მეგობრობა აქვს. ხშირად ერთი ქვე-

ყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიან“. უდავოდ სა-
ყურადღებო ცნობა არის.

მართალია, მოტანილ ტექსტში ხაზგასმული არ არის რა
საქონელი მიდის საქართველოდან პოლონეთში უკრაინის
გზით, მაგრამ თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემო-
ებას, რომ იგივე პიეტრო დელა-ვალე ამ თავის მოხსენებით
ბარათში, ცოტა ზემოთ იმასაც შენიშნავს, რომ დასავლეთ
საქართველოს მფლობელებს: „დიდი ვაჭრობა აქვთ კონს-
ტანტინოპოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმითა და
სხვა რამეებითა“-ო, უნდა დავასკვნათ, რომ აბრეშუმი და
სხვა აღმოსავლური საქონელი საქართველოდან შავი ზღვისა
და დნებრის გზით ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოში
გადიოდა.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებიდან აბრეშუმზე და აღმო-
სავლურ სურნელ-სანელებელზე განსაკუთრებული მოთხოვ-
ნილება იყო დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით მწვევად
დაისვა (ევროპაში) აღნიშნულ საქონელზე საკითხი მას შემ-
დეგ, რაც თურქეთის სახელმწიფომ შავი ზღვის სრუტეები
ჩაიგდო ხელში და აღმოსავლეთის ვაჭრობას გაააქანი არ
მისცა; ინგლისელებმა ჩრდილოეთის ოკეანიდან სცა-
დეს გზის გამონახვა და აბრეშუმის გატანა.

მე-16 საუკუნის შუა წლებში, ინგლისელების სავაჭრო
კომპანიის ერთმა გემმა ყინულოვანი ოკეანით თეთრ ზღვამ-
დე მიაღწია და ქ. არხანგელსკში მოვიდა. არხანგელსკიდან
ინგლისელების სავაჭრო კომპანიის წარმომადგენელი ჩენს-
ლერი ჩრდილოეთ დვინით მდ. სუხოზაზე გადმოვიდა და მო-
სკოვში იოანე IV გამოცხადდა. მოლაპარაკების შედე-
გად შეთანხმებას მიაღწიეს. როცა მდ. ვოლგა თათართა
ბატონობისაგან საბოლოოდ გაწმინდა იოანე მეოთხემ (1552
—1556 წწ.) და კასპიის ზღვაზე დამკვიდრდა რუსეთი, და-
იწყო კასპიის ზღვით, ვოლგაზე გავლით, სუხოზა-ჩრდილოეთ
დვინით, ყინულოვანი ოკეანის მოვლით დასავლეთ ევროპა-
ში აბრეშუმის გატანა, ხოლო, რუსეთსა და სპარსეთში ევ-
როპის საქონლის შემოტანა. ამ მხრივ არა ერთი საყურადღე-
ბო ცნობა არის დაცული მე-16 საუკუნის ინგლისელი ვაჭრე-

ბის დღიურებში¹. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რა დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ ამ შორი გზით მიმავალი თუ მომავალი ვაჭრები, უმთავრესად, თეთრ ზღვასა და ყინულოვან ოკეანეში. საზღვაოსნო საქმის დაბალი ტექნიკური დონე ყინულოვანი ოკეანით მოგზაურობას იმ დროს მეტისმეტად აფერხებდა. ამიტომ იყო, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებს ჩრდილოეთის ეს გზა ევროპასთან დასაკავშირებლად არ აკმაყოფილებდა და იმავე იოანე IV-ემ ბალტიის ზღვისათვის ომი (ლივონიის ომი) კასპიის ზღვაზე გასვლისთანავე დაგეგმა და 1558 წელს დაიწყო კიდეც. 25 წლის განმავლობაში ბალტიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩასაგდებად შეუდრეკელი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ იოანე IV დამარცხდა და ამ მარცხს გადაჰყვა არსებითად იგი, 1584 წელს გარდაიცვალა. ბალტიის ზღვის პრობლემა მხოლოდ პეტრე პირველმა გადაწყვიტა, მაგრამ ოცი წლის დაძაბული ბრძოლების შედეგად.

როგორც პიეტრო დელა-ვალეს ჩანაწერების ტექსტიდან ჩანს, ირანის აბრეშუმში საქართველოზე გავლით შავი ზღვისა და დნებრის გზით ევროპაში სულ მცირე დროში აღწევდა ბაზრებზე. პიეტრო დელა-ვალე ირანის შაჰის კარისკაცს უმტკიცებდა: „კაზაკებთან კავშირის მეოხებით სპარსეთს შეუძლია აბრეშუმში ევროპაში გაყიდოს ისე, რომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლა არ დასჭირდეს.

სპარსეთის მებარეშუმე რაიონები ყველანი შავ ზღვასთან ახლო არის შედარებით. ამიტომ სპარსეთის აბრეშუმში სულ მოკლე გზით შეიძლება მიტანილ იქნეს ევროპაში, იმ გრძელი და საშიში გზების ნაცვლად, რომლებიც ალაბზე (ალეპოზე) და ორმუხზე გადიან... ვაჭარი (შავი ზღვით) ამ გზით აბრეშუმს 10—20 დღეში გადაიტანს (20 დღე მაქსიმუმია)... იმ დროს, როცა ოკეანის გზას რვა-ათი თვე სჭირდება თუ მეტი არა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის გზას სულ ცოტა 2—3 თვე (თუნდაც მარსელამდე, რომელიც ყველაზე ახლო პორტია

¹ Английские путешественники в Московском государстве в XVI веке. Перевод с английского Ю. В. Готье, 1937.

შედარებით), თანაც ეს შორი გზები მეკობრეებით არის საფსე, ქარიშხალიც ხშირია. ახალ გზაზე კი (შავი ზღვით პოლონეთზე) მეკობრეები ცოტაა“¹.

ერთგან პიეტრო დელა-ვალე იმასაც აღნიშნავს, რომ პოლონეთი მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აბრეშუმის გამსაღებელ ქვეყნად ითვლებოდა: „...პოლონეთი არის აბრეშუმის გამსაღებელი უდიდესი ქვეყანა“.

მოტანილი ტექსტიდან ნათელი ხდება როგორი ინტერესით უნდა მიეღოთ პოლონეთის სახელმწიფოს მესვეურებს საქართველოდან გატანილი აბრეშუმი, რომელზედაც ასეთი დიდი მოთხოვნილება იყო ევროპაში მე-16—17 საუკუნეებში. ასე რომ დნებრის გზით საქართველოდან გატანილი ირანული და, უმთავრესად, ადგილობრივი აბრეშუმი ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოში. ამდენად, პიეტრო დელა-ვალეს ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთის მეფეს მიმოწერა აქვს ქართველ მფლობელებთან, ჩვენ ვფიქრობთ, საეჭვო ცნობა არ უნდა იყოს.

დასავლეთი საქართველო წყლის გზით უკავშირდებოდა ლიტვა-პოლონეთს. ქუთაისიდან რიონის გზით ნავით შავ ზღვამდე მოგზაურობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს ცნობა: „და მოდის სათავიდან ქუთაის-კახნიურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიურს ქვევით დამდორდების და ბაჟს ქვევით ფრიად მდორე და განიერი ზღვამდე, და უფროს ცხენის-წყალს ქვევით გავრცელებული, რამეთუ ვლენან ნავებითა ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობდნენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად“². აქ მოხსენებული პუნქტი „ბაჟი“ დღევანდელი სოფელი „ბაშია“ ქუთაისიდან 25 კილომეტრით დაცილებული მდ. რიონზე მდებარე. სოფ. ბაში „მატიანე

¹ იხ. ი. ცინცაძე, უკრაინის და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1954, გვ. 41.

² ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის გამოც., 1941, გვ. 147.

ქართლისაჲს“ ერთ ცნობაშიაც არის მოხსენებული, სადაც ზღვით საქართველოში მოსული ვარიანების 3000 კაცისაგან შემდგარი რაზმი ბაგრატ IV სოფ. ბაშში დაუყენებია. ცხადია, ვარიანები რიონით შემოვიდნენ, ქუთაისის მახლობლად სოფ. ბაშამდე მიაღწიეს და აქვე დაბანაკდნენ.

იმერეთის ცენტრიდან შავ ზღვაზე მოგზაურობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იმერეთის მეფის სოლომონ პირველის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი სიტროპოლიტი. 1769 წელს დაწერილ მოხსენებით ბართში, რომელიც საგარეო საქმეთა კოლეგიას მიაართვა, იგი წერდა: „ქუთაისის ქალაქიდან ვაჭრები დადიან ნავითა იმ სამს ციხეში — ბათომს, ფოთს და სოხომს, გასაყიდლათ და აქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა, და საჭმლის ხორაგი; იქიდანაც წყლით მოაქვთ... სხვადასხვა ფერის ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა სხვადა“¹.

პიეტრო დელა-ვალე იმ გარემოებასაც აღნიშნავს, რომ უკრაინელი კაზაკები ქართველების ხომალდებს მფარველობას უწევენო: „კაზაკები ამ მფლობელების (გურიელისა და დადიანის, — ი. ც.) სავაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდრიდნენ“. შავ ზღვაზე ქართველების სავაჭრო გემების მფარველობა, პირველ რიგში, უკრაინისა და საქართველოს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობის მფარველობად უნდა გავიგოთ და შემდეგ ლიტვა-პოლონეთთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის მფარველობადაც.

პიეტრო დელა-ვალეს ქართველებისა და უკრაინელი კაზაკების დანათესაებებზედაც აქვს საუბარი. იგი წერს: „გარდა ამისა, როგორც მე გავიგონე, ეს ორი ხალხი ემოყვრება ერთმანეთს“. იმ დროს სისხლით დანათესაებება, პირველ რიგში, სარწმუნოებრივი ერთიანობით იყო განპირობებული და ამ მხრივ, ქართველებისა და უკრაინელების დაახლოება სავ-

¹ Цагарели А., Грамоты и др. ист. документы, II вып. 1, 83. 3.

სებით ბუნებრივად გვესაზება. მაგრამ აქ მართებულია კითხვის დაყენება — საქართველოს მოსახლეობის რომელ ფენასთან უნდა მომხდარიყო დნეპრელი კაზაკების დამოყვრება ან დანათესავება?

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოში ძალიან კარგად იცოდნენ კაზაკების სოციალური წარმოშობა, რომ ისინი გლეხები იყვნენ და ამავდროს ურჩი, ბატონყმობიდან გაქცეული „ყაზახები“. მოსკოვის არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ როდესაც თეიმურაზ პირველი რუსეთში გაემგზავრა და რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს თანამშრომლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, სხვათა შორის უთქვამს, (მდივნებს თეიმურაზის სიტყვები ასე ჩაუწერიათ): «...Или-де нас великий государь не хочет пожаловать оборонить? Били-де челом ему, великому государю, и не праведные казакни, чтоб их пожаловал государь, изволил взять под свою государскую высокую руку; и великий государь и казак в пожаловал... изволил взять под свою государскую высокую руку... А я де был в своем государстве царь православной христианской веры». („ნუთუ დიდი ხელმწიფე არ მოიღებს მოწყალებას და ჩვენ არ დაგვიცავს? აკი დიდ ხელმწიფეს შეევედრა არცთუ მართალი, უკუღმართი, კაზაკობა, რათა ხელმწიფეს ისინი შეეწყალებინა და ხელმწიფური მაღალი ხელის ქვეშ მათი შეფარება ენებებინა; და დიდმა ხელმწიფემ კაზაკებიც კი შეიწყალა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებისათვის და მაღალი ხელმწიფური საფარის ქვეშ მათი აყვანა ინება,... მე ხომ ჩემს სახელმწიფოში მეფე ვიყავი მართლმადიდებელი ქრისტიანი...“). თეიმურაზის ეს სიტყვები არსებითად უკრაინის 1654 წელს რუსეთთან გაერთიანებას ეხება. იგი რუსეთის დიპლომატებს მოაგონებდა, რომ თუკი რუსეთის ხელმწიფემ კაზაკებიც კი მფარველობაში მიიღო და ამის გამო პოლონეთთან ომს არ დაერიდა, მე მით უმეტეს, ქრისტიან მეფეს, უნდა მეხმარებოდეს რუსთ ხელმწიფეო. აქ თეიმურაზი კლასიური თვალსაზრისით უდგება საკითხს. მას კარგად

ცოდნია, ვინ არიან კაზაკები. მან იცის, რომ კაზაკები გლეხები არიან და, რაც მთავარია, გაქცეული გლეხები, მათ ურჩსა და მტყუანს უწოდებს იგი, როგორც არსებული ბატონყმური საზოგადოებრივი წყობილების მოწინააღმდეგეებს¹.

ამდენად პიეტრო დელა-ვალეს ცნობა, ქართველებისა და კაზაკების დამოყვრების შესახებ, ქართველი გლეხების და კაზაკების დანათესალებას შეეხება. იმ დროს ხომ კლასობრივი საფუძველი ჰქონდა დანათესალებას და ამას მკაცრად იცავდნენ. სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი წერილობითი ძეგლები, სადაც გვარკვევდით დნეპრელი კაზაკობის ყოველი წევრის წარმოშობას და სადაურობას. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თუ დნეპრის მხარეში პოლონელი, ბელორუსი, უკრაინელი, ლიტველი და რუსი (ბატონყმობის უღლიდან გამოქცეული გლეხი) აფარებდა თავს და კაზაკდებოდა, არა ერთი გურული და მეგრელი გლეხი უნდა გაყოლოდა საქართველოს სანაპიროებზე მოსულ კაზაკების ნავეებს და დნეპრის აუზისათვის შეეფარებინა თავი თავისუფალ კაზაკთა თემებში. მე-17 საუკუნის რუსულ ძეგლებში რამოდენიმე ცნობა არის დაცული დონელ და ყუბანელ კაზაკთა თემებში ქართველი კაზაკების არსებობის შესახებ.

უკრაინის გზით რომ მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან და სხვა ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობაში ყოფილა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ჩაბმული, ამის შესახებ ახლა, პიეტრო დელა-ვალეს თხზულებებს გარდა, ნათლად მეტყველებენ სხვა ფაქტებიც. ამ ოციოდე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), რამდენიმე ცალი ვერცხლის მონეტა მომიტანა და მითხრა, რომ ეს ფულები ქობულეთის მახლობლად არის ნაპოვნი და წარწერა ვერ ამოვიკითხეო. მე გავსინჯე მონეტები, ორი მათგანი 1627 წელს იყო მოჭრილი, ზედ ხელისუფალის გამონახატულებაც კარგად მოჩანდა და ლათინუ-

¹ ამის შესახებ იხ. ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1954, გვ. 32—34.

რი წარწერაც. მონეტები პოლონეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა. სტუდენტს ვურჩიე სამხარეთმცოდნეო მუზეუმისათვის ჩაებარებინა მონეტები.

სამწუხაროდ, მაშინ მე ამ გარემოებას ყურადღება არ მივაქციე და არც საკითხი აღმეძრა, თუ რატომ აღმოჩნდა მე-17 საუკუნის პოლონეთის ვერცხლის მონეტა საქართველოს კუთვნილ შავი ზღვის სანაპიროზე. პოლონური ვერცხლის მონეტის ქობულეთში აღმოჩენის ფაქტი მხოლოდ მაშინ მოვიგონე, როცა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის დავალებით. 1954 წელს, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად, უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის წარსულის შესახებ წერილის დამუშავებას შევუდექი. მხოლოდ მაშინ მომაგონდა ხსენებული პოლონური მონეტების აღმოჩენის მნიშვნელობა. საგანგებოდ გავემგზავრე ბათუმის მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციების დასათვალისწინებლად. აღმოჩნდა, რომ მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის პოლონური მონეტები შავი ზღვის სანაპიროების მიდამოებში ნაპოვნი მრავლად იყო წარმოდგენილი. ცნობილი ქართველი ნუმისმატის, ამხ. დავით კაპანაძის ცნობით, მე-17 საუკუნის პოლონური და ევროპის სხვა სახელმწიფოების მონეტების საგანძურები აღმოჩენილა ქ. მახარაძეშიაც (ოზურგეთში) და თბილისშიაც. ეს ფაქტები უდავოდ მკვიდრ დასაყრდენს უქმნიან პიეტრო დელა-ვალეს მიერ მოწოდებულ ცნობებს.

რა თქმა უნდა, მონეტები სხვადასხვა გზითაც შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეში გადატანილიყო, მაგრამ, როცა ჩვენ წერილობითი ცნობებიც საქართველოსა და ლიტვა-პოლონეთის სასაქონლო ურთიერთობაზე გვაწვდიან ხმას. თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლონეთში მოჭრილი მონეტები შემთხვევით და ეპიზოდურად არ აღმოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე.

პოლონეთში მუშაობის დროს სხვა ისეთ ისტორიულ დოკუმენტებს გავეცანი, რომელთაც ამაზე ადრე ჩემს მიერ საეჭვოდ მიჩნეული ცნობების (საქართველოსა და პოლონეთის

შორის ეპიზოდური ხასიათის ურთიერთობის შესახებ) სრული ჭეშმარიტება დაადასტურეს.

1935 წელს მოსკოვში გამოიცა მე-17 საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მოგზაურის ია. სტრეისის თხზულების თარგმანი¹. ამ თხზულებაში არა ერთი საინტერესო ცნობა არის დაცული მე-17 საუკუნის რუსეთის ისტორიისათვის. სტრეისმა 1668 წელს (ამსტერდამში ყოფნის დროს) გაიგო, რომ რუსეთის მეფის რწმუნებული ზღვაოსნობის საქმის სპეციალისტებს ეძებდა კასპიის ზღვაზე სავაჭრო და სამხედრო ფლოტის ასაგებად. სტრეისი, როგორც გემთმშენებელი ოსტატი, დათანხმდა რუსეთის მეფის სამსახურში შესულიყო, კაპიტან დავით ბუტლერის ხელმძღვანელობით და სხვა ოსტატ ჰოლანდიელებთან ერთად რუსეთში წამოვიდა. სტრეისმა ნოვგოროდიდან მოკიდებული ასტრახანამდე მთელი მაშინდელი რუსეთის სახელმწიფო გადასერა, მაგრამ, მისდა სავალალოდ. სტრეისისა და სხვა ჰოლანდიელების ვოლგაზე მოგზაურობა სტეფანე რაზინის მეთაურობით მიმდინარე გლეხთა აჯანყებას დაემთხვა.

ვინაიდან სტრეისი ვოლგით მოდიოდა ასტრახანში, უნებლიეთ სწორედ იმ რაიონებში ამოყო თავი, სადაც სტეფანე რაზინი და მის ხელქვეით მყოფი კაზაკობა ბატონობდა. სტრეისს და დავით ბუტლერს პირადად უნახავთ სტეფანე რაზინი და მასთან უსაუბრიათ. რაზინის შესახებ ბევრი რამ სტრეისის და ბუტლერის ნაშრომმა შემოუნახა მეცნიერებას.

ზემოთ დასახელებულ სტრეისის თხზულების რუსულ თარგმანში დამატების სახით დაბეჭდილია დავით ბუტლერის წერილის პირის თარგმანიც. ბუტლერის წერილი 1671 წლიან მარტით არის დათარიღებული. სტრეისის მოგზაურობის და თავგადასავალის აღწერილობის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებანია წამოყენებული. არა ერთ მკვლევარს ეჭვი აღძვრია სტრეისის ცნობების ჭეშმარიტებაში და მისი თხზულების გამოყენებას მკაცრი კრიტიკული განხილვის შემდეგ გვირჩევენ. მაგრამ ამავე დროს, ისეთი ისტორიკოსებიც მოიპოვებიან, რომელნიც სანდო ავტორად მიიჩნევენ სტრეისს.

¹ Я. Я. Стрейс, Три путешествия, 1935.

ჩვენ ისტორიკოსთა იმ ჯგუფს მივემხრეთ, რომელთაც სტრეისის ზოგიერთი ცნობა საეჭვოდ მიიჩნიეს, ამ თვალსაზრისზე ვრჩებით დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ სტრეისის ზოგიერთი ცნობის ჭეშმარიტება ჩვენ მიერ ერთ დროს საეჭვოდ აღიარებული, ვარშავაში მოპოვებულმა დოკუმენტურმა ლეგლებმა დაადასტურეს. სტრეისი და ბუტლერი ერთგან აღნიშნავენ, რომ შემახაში ტყვედ გაყიდული სტრეისი მაჰმადიან ბატონისაგან პოლონეთის მეფის ელჩმა ტომით ქართველმა, იხსნა, რომელსაც სახელად ბოგდახი ერქვა, იგი თავადიშვილი ყოფილა. ამ ქართველი თავადიშვილის შესახებ სტრეისი წერს, რომ, როცა ჩემმა მაჰმადიანმა პატრონმა გაიგო, რომ მე მსურდა პოლონეთის მეფის ელჩის ხელში გადასვლა, გამაფრთხილათ: «Посланник Богдан не добрый христианин, хотя ты себе и воображаешь это, а легкомысленный грузин, посланный польским королем ко двору, чтобы снестись с шахом относительно войны с турками... Этот Богдан, как я узнал в последствии, был несколько лет тому назад ротмистром в Польше и сумел там, по местному обычаю, добиться такой милости и благосклонности короля, что был послан с означенным посольством... Я наконец был куплен этим посланником за такую сумму, а именно за 150 абасов»¹.

პოლონეთის ელჩს, ბოგდან ქართველს; სტრეისი შემახაში მყოფ კათოლიკე ბერების აჯამუდართ უყიდა მაჰმადიან პატრონისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრეისის თხზულების 1935 წლის რუსულ გამოცემაში, დამატების სახით დაბეჭდილია დავით ბუტლერის წერილის პირი 1671 წლის 6 მარტით დათარიღებული. ბუტლერი მოგვითხრობს, როგორ დაესხნენ მათ თავს კასპიის ზღვაზე მეკობრენი, როგორ გაძარცვეს ის და მისი მხლებლები და როგორ მოიტაცეს ერთი მისი თანამემამულე გემთმშენებელი ოსტატი იან სტრეისი. სიკვდილს გადარჩენილებმა შემახამდე მიაღწიეს. შემახაში. — წერს ბუტლ.

¹ სტრეისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

ლერი. შევხვდი იან სტრეისს, რომელიც ტყვეობიდან გამოესყიდა პოლონეთის მეფის ელჩს ტომით ქართველს: «...прибыли наконец в город Шемаху. Здесь в Шемахе встретили мы парусного мастера, Яна Стрейса, которого выкупил один посол польского короля, грузин родом»¹.

ბუტლერი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ პოლონეთის ელჩს უმორჩილესად ვთხოვე შემახელი ხანის წინაშე ეშუადგომლა სხვა ტყვეების გამოსახსნელად. თუმცა მან დახმარება აღმითქვა, მაგრამ სინამდვილეში ჩვენთვის თავი არ შეუწუხებიაო.

ჩვენ თავის დროზე, როცა სტრეისის და ბუტლერის ზემომოტანილ მასალას გავეცანით, პოლონეთის მეფის ელჩის ქართველობის შესახებ ცნობამ ძალიან დაგვაეჭვა. ეს ეჭვი გაგვიძლიერა იმავე დავით ბუტლერის წერილში აღწერილმა ერთმა ეპიზოდმა. მას აღნიშნული აქვს, რომ, როცა იგი რამოდენიმე თანამგზავრით, რაზინის კაზაკებს გადაურჩა ასტრახანში და კასპიის ზღვაზე ნავებით გზას გაუდგა, მათ ორი ნავი დაეწია და სიკვდილის მუქარით ყველაფერი წაართვეს. ბუტლერის ერთი თანამგზავრთაგანი დოსტაქარი ყოფილიყო, რომელიც ძვირფასი ნივთების გადამალვის გამო ცემით კინადამ სიცოცხლეს გამოასალმეს. ჯერი თურმე ბუტლერზე მიმდგარა და როცა მისი ვინაობა უკითხავთ, დოსტაქარს ბუტლერი ქართველად გაუსაღებია და კაზაკებს ხელი არ უხლიათ.²

ამ ცნობის გამო ვფიქრობდი, რომ ვოლგისა და კასპიის ზღვის გზაზე, ჩვენთვის უცნობი პირობების გამო, ტომით ქართველობა თუკი ნახევრად საიმედო საფარი შეიძლებოდა ყოფილიყო ევროპელ მგზავრისათვის ერთ შემთხვევაში, პოლონეთის მეფის ელჩს ამავე მიზნით შეეძლო ქართველობა მოეგონებინა. სტრეისისა და ბუტლერის ცნობისადმი (პოლონეთის ელჩის ქართველობის შესახებ) ჩემი ასეთი სკეპტიკური განწყობილება, ვფიქრობ, ყოველი მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს. ქართველი თავადიშვილის სპარსე-

¹ სტრეისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 372.

² იქვე, გვ. 365, 367.

თის შაჰის, თურქეთის სულთანის და სხვა, მცირე თუ შუა აზიის მფლობელების კარზე სახელმწიფო სამსახურში ყოფნა არავის არ გააკვირებდა, მაგრამ პოლონეთში ქართველის სამსახური ჩვეულებრივ მოვლენად არ ჩაითვლებოდა.

მაგრამ პოლონეთში საარქივო დოკუმენტებს შორის დაცული მასალები ახლა ცხადყოფენ, რომ სტრეისისა და ბუტლერის ცნობები, შემახაში ნახული პოლონეთის ელჩის ქართველობის შესახებ, სინამდვილეა.

ჩვენს ხელთ არის პოლონეთის მეფის კანცელარიიდან გაცემული, ინსტრუქციის ორი ფოტოპირი, „აზნაურ ბოგდან გურჯეცკის, სასახლის როტმისტრის, მისი მეფობის ძლიერების მიერ სპარსეთში გაგზავნილ ელჩის სახელზე“ 1668 წლის ივნისის 30 თარიღით. „გურჯეცკი“ საქართველოს აღმნიშვნელი სიტყვაა. ინსტრუქციაში აღნიშნულია: „ამ ინსტრუქციას ბატონი (ბოგდანი) არავის არ უჩვენებს, იგი მხოლოდ თავისთვის ექნება (სახელმძღვანელოდ) და ყველაფერი ისე უნდა გააკეთოს, როგორც ინსტრუქციაშია ნაჩვენები. პირველი ვარშავიდან გამგზავრებული მოსკოვის მეფესთან მივა (ბოგდანი). აქ ჩააბარებს წერილს და მოახსენებს (მოსკოვის მეფეს), რომ ის (ბოგდანი) წერილებით მიემგზავრება სპარსეთის მეფესთან. ჰხვა არავითარ განმარტებას მოსკოვში იგი არ მისცემს არავის, მხოლოდ ითხოვს სპარსეთის საზღვრებამდე მისვლის ნებართვას (საშვს). აგრეთვე ითხოვს (მოსკოვში), რათა მისი წერილები (ბოგდანის) სპარსეთიდან მოსკოვში გაატარონ ვარშავამდე. ეს წერილები (სპარსეთიდან გამგზავნილი) სიფრთხილით უნდა დაიწეროს, ამასთანავე უნდა შეგვატყობინოს როგორი პატივით იქნება ის იქ მიღებული. მოსკოვიდან სწრაფად გაემგზავრება (ბოგდანი) სპარსეთში. ხოლო, რადგანაც უმჯობესი იქნება საქართველოს მთავრის ტერიტორიაზე გავლით სპარსეთში მისვლა, იქ ჩააბარებს მის მოწყალეებს ქართველ მთავარს პოლონეთის გვირგვინის უმაღლეს კანცლერის წერილს და (ბოგდანი) სიტყვიერადაც გადასცემს თავის თავის შესახებ, რომ მიემგზავრება იგი მის მოწყალეებსთან სპარსეთის მეფესთან წერილებით. და როდესაც სპარსეთის მეფემდე მიაღწევს (ბოგდანი), პირველ რიგ-

ში იქაურ ვეზირს მოახსენებს, რომ ის (ბოგდანი) სპარსეთის მეფესთან ჩამოვიდა სამეგობრო წერილით და თხოვს უმოკლეს ვადაში აუდიენციის დანიშვნას. შემდეგ მის მოწყალებას სპარსეთის მეფეს წერილს მიაართმევს.

და თუ იქ (სპარსეთში) მას (ბოგდანს) გამოკითხავენ, იგი (ბოგდანი) უპასუხებს, რომ მოსკოვის მეფესთან ზავი დადებულია და რომ ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოები ყველასთან მშვიდობიან ურთიერთობაშია. ელჩი ბოგდანი ზედმეტ ლაპარაკს თავს აარიდებს.

როდესაც ბოგდანი მისი მოწყალების საქართველოს მთავრის ტერიტორიაზე გაივლის, კარგად და დანამდვილებით გაიგოს, ბეჯითად გამოიკითხოს და თვალყური ადევნოს, რომელი გზით უმჯობესი იქნება სხვადასხვა ნაყიდი საქონლის პოლონეთის სახელმწიფომდე მიტანა, ქსოვილების და სხვა საქონლის, აგრეთვე გაიგოს (ბოგდანმა) რა ღირს გირვანქა ოქრო და ვერცხლი და სხვა საქონელი (საქართველოში), ეს უნდა გაიგოს მან (ბოგდანმა) და ინფორმაცია უნდა მოიტანოს. ბეჭედი. ეს ინსტრუქცია პირადად მეფის განკარგულებით დაიწერა“.

